

# რა კავშირი აქვს „ცენტრ-პოინტი ჯგუფის“ გაკოტრებასთან გიული ალასანიას და აკონტროლებდა თუ არა იგი კომპანიის 70 პროცენტს?


# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 6 აგვისტო, 2014 წელი.

№153 (7534)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუდილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსამაგლესია.

## ობამას წინააღმდეგ საქმის აღძვრას გეგმავენ, სააკაშვილის გამო კი შეშფოთებულია ორიოდ კინკილა სენატორი 3



**ნომრის ციტატა**

## ბოროტმოქმედი თუ სამშობლოსათვის ტანჯული?!



იმ სილაჩრის გადასაფარავად, რაც ექსპრეზიდენტმა სააკაშვილმა ავადმოსაგონარი აგვისტოს ომის დღეებში სამარცხვინოდ გამოავლინა, და აგრეთვე თავისი თანამდებობრივი სიმართლისა და დავითაღმაშენებლური გმირობა-ვაჟკაცობის გამოსაჩენად გარე-გარე კი არ უნდა ირბინოს და იქიდან იძახოს, ახალი ქართული სახელმწიფოს შემქმნელს შურისგების მიზნით პოლიტიკურად მდევნიანო, პირიქით, რაც შეიძლება მალე უნდა დაბრუნდეს სამშობლოში და ამჯერად შედარებით დამოუკიდებელი სასამართლოს ტრიბუნიდან მთელ ქვეყნიერებას დაანახვოს და დაუდასტუროს, რომ სამართლებრივად ალალმართალია და ახალი ხელისუფლებისგან უკანონოდ იდევნება, როგორც პოლიტიკური მსხვერპლი და სამშობლოსათვის ტანჯული!

ბოლომდე მართალი და უშიშარი ადამიანები მხოლოდ ასე იქცევიან! მით უმეტეს, რომ ამ საქმეს დღეს მთელი მსოფლიო ადევნებს თვალყურს.

## გაგახსენებთ, ქალბატონო ინგა... 3



## შიშველი ხელებით ამოვსებული საფლავი 7

# ცოდვებმა გიწიათ, მკვლელებო!

## სააკაშვილსა და მერაბიშვილს გელაშვილის ცემის ფაქტზე ბრალი დაუმძიმდათ



ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტზე ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და ყოფილი პრემიერი ივანე მერაბიშვილი პასუხისგებაში მიეცნენ. ამის შესახებ ნათქვამია პროკურატურის გუშინდელ განცხადებაში:

გვსურს, საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ საქართველოს პარლამენტის წევრ ვალერი გელაშვილზე 2005 წელს მომხდარი შეიარაღებული თავდასხმის და მისი ცემის საქმეზე საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მხილებულ იქნენ ამ დანაშაულის ორგანიზატორები: საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ივანე მერაბიშვილი. აქედან გამომდინარე, დღეს საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ გამოტანილ იქნა დადგენილებები მიხეილ სააკაშვილის და ივანე მერაბიშვილის ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ. გამოძიებით დადგინდა შემდეგი: 2005 წლის 29 ივნისს, გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნდა საქართველოს პარლამენტის იმჟამინდელი წევრის ვალერი გელაშვილის სტატია სათაურით „ვალერი გელაშვილი თავის სახლს სააკაშვილს დაუთმობს“. აღნიშნულ სტატიაში ვალერი გელაშვილი გამოთქვამდა უკმაყოფილებას მოქმედი პრეზიდენტის მიმართ, კერძოდ იმასთან დაკავშირებით, რომ მას წაართვეს ქონება, რომლის ღირებულებასაც არ უნაზღაურებდნენ. ამავე სტატიაში მან შეურაცხმყოფელი ფორმით ისაუბრა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პირადი ცხოვრების შესახებ. აღნიშნული სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, მიხეილ სააკაშვილმა ვალერი გელაშვილის სამაგალითოდ დასჯის მიზნით, პირადი შურისძიების მოტივით, საქართველოს თავდაცვის იმჟამინდელ მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს დაავალა მოეხდინა ვალერი გელაშვილის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორება, რაზედაც ირაკლი ოქრუაშვილისაგან მიიღო უარი. ამის გამო, მიხეილ სააკაშვილმა ვალერი გელაშვილის ფიზიკური ანგარიშსწორება დაავალა საქართველოს შინაგან საქმეთა იმჟამინდელ მინისტრს ივანე მერაბიშვილს.დავალების მიღების შემდეგ ივანე მერაბიშვილმა მის დაქვემდებარებაში მყოფი სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დირექტორის ერეკლე კოდუას ორგანიზებით უზრუნველყო მიხეილ სააკაშვილის დავალების ზედმიწევნით შესრულება, რომელიც განხორციელდა 2005 წლის 14 ივლისს.

დანაშაულებრივი ქმედების შედეგად ვალერი გელაშვილმა მიიღო ქალა-ტვინის ტრამვა, სახის ძვლების მრავლობითი მოტეხილობა, ნახეთქი ჭრილობა ცხვირის და შუბლის არეში, ზედა და ქვედა ყბის ძვლების მოტეხილობა.

იხ. 3 გვ.

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

## ინფორმაცია

### საქართველოს დელეგაციას პრემიერი უხელმძღვანელებს

გაეროს გენერალურ ასამბლეაზე საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის კახა იმნაძის განცხადებით, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე საქართველოს დელეგაციას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უხელმძღვანელებს.

როგორც კახა იმნაძემ ჟურნალისტებს ამბასადორიალზე განუცხადა, პრემიერის გამოსვლა 26 სექტემბრისთვის არის ჩანიშნული.

— პარალელურად იგეგმება სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა. პრემიერის მეუღლეც მიიღებს მონაწილეობას შესაბამის ღონისძიებაში, რომელიც ეხება ქალთა წინააღმდეგ ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრას, — განაცხადა კახა იმნაძემ.

მისივე თქმით, ზუსტად ყველა ღონისძიების ჩამონათვალი და ორმხრივი შეხვედრები ჯერ არ არის დაზუსტებული.

### გურამ ოდიშარია პრემიერის მრჩევლად დაინიშნა

კულტურისა და ძეგლთა დაცვის ყოფილი მინისტრი გურამ ოდიშარია პრემიერ-მინისტრის მრჩევლად დაინიშნა. როგორც პრემიერის პრესსამსახურში განაცხადეს, ირაკლი ღარიბაშვილმა ოდიშარიას მრჩევლად დანიშვნის შესახებ ბრძანებას 31 ივლისს მოაწერა ხელი.

### თეა წულუკიანი თანამშრომელთა საქმიანობით კმაყოფილია

როგორც იუსტიციის მინისტრმა აღნიშნა, ბოლო 12 თვის განმავლობაში მართლმსაჯულების რეფორმის მეორე ტალღა მოსამართლეთა შეფასების სისტემის შესახებ შემუშავებულია. მისივე თქმით, მესამე ტალღა უკვე შემუშავდა და ვენეციის კომისიის დასკვნას ელოდება, რაც ინდივიდუალური მოსამართლის გაძლიერებას ისახავს მიზნად.

— მართლმსაჯულება არ არის მხოლოდ ის რეფორმა, რასაც იუსტიციის სამინისტრო აკეთებს. ჩვენ ანტიკორუფციული, ანტინარკოტიკული პოლიტიკის შემმუშავებელი ორგანო ვართ სხვა სამინისტროებთან ერთად და ამ ყველაფრის შესახებ იყო საუბარი. საუბარი იყო ასევე იმაზე, რომ ჩვენ ელმმართველობის დარგში ვართ ერთ-ერთი წამყვანი. ელჩები ძალიან დიდ დაინტერესებას იჩენენ, განსაკუთრებით მას მერე, რაც ღია მმართველობის პარტნიორობის ორგანიზაციაში საქართველო რვა ქვეყანას შორის იქნა არჩეული მმართველი კომიტეტის წევრად 64 ქვეყნიდან, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

მისივე თქმით, ელჩებთან შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს იმაზე, რომ ალბანეთში იუსტიციის სახლის და იუსტიციის სამინისტროს რეფორმების გატანა უკვე დაიწყო. როგორც მინისტრმა აღნიშნა, არის დამატებით ოთხი ქვეყანა, რომელიც აპირებს ამ რეფორმების ექსპორტს და ამაზეც იყო ელჩებთან საუბარი.

### „ევროპის ეკონომიკური სენატის კონგრესი“

ევროპის ეკონომიკური სენატის ინიციატივით, ბათუმში, სასტუმრო „შერატონში“, 15 აგვისტოს საერთაშორისო ფორუმი — „ევროპის ეკონომიკური სენატის კონგრესი“ გაიმართება.

ევროპის ეკონომიკური სენატი ევროპული ბიზნესის საკოორდინაციო ცენტრ-ორგანიზაცია, რომელშიც მსხვილი კომპანიების ხელმძღვანელები და ევროკავშირის ქვეყნებიდან პოლიტიკოსები არიან გაწევრებულები. სენატის პრეზიდენტია ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტი ინგო ფრედერიკი.

კონგრესში სენატის აღმასრულებელი დირექტორი, სენატორები, ევროპის მსხვილ გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარე, ევროპარლამენტის წევრები და ევროპელი ინვესტორები მიიღებენ მონაწილეობას, ქართული მხრიდან კი კონგრესს დაესწრებიან და მონაწილეობას სიტყვით მიმართავენ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები და ქართველი ბიზნესმენები.

კონგრესის ფარგლებში, ბიზნესის ქართველ და ევროპელ წარმომადგენლებს შორის ორმხრივი შეხვედრებიც გაიმართება.

კონგრესზე ყურადღება გამახვილდება ქართულ-ევროპული სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებისა და გამარტივების, ევროპული ინვესტიციების მოზიდვის, საქართველოში ევროპული ბიზნეს სტანდარტების დანერგვის, ევროპაში ქართული ბიზნეს ინტერესების ხელშეწყობის გზებზე. ევროპელი ინვესტორებისთვის რამდენიმე საინტერესო ქართული საინვესტიციო პროექტის პრეზენტაციაც გაკეთდება.

## ესეც ასე!

# არჩევნებამდე სად იყვნენ რჩეულიშვილ-კერვალიშვილები?

### რა კავშირი აქვს „ცენტრ-პოინტი ჯგუფის“ გაკოტრებასთან გიული ალასანიას და აკონტროლებდა თუ არა იგი კომპანიის 70 პროცენტს?

**გენერალურმა პროკურატურამ ამ რამდენიმე თვის წინათ სამშენებლო კომპანია „ცენტრ-პოინტი ჯგუფის“ თაღლითური სქემა გაშიფრა და კომპანიის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ყველაფერი მაშინ დაწყო, როცა დაზარალებული ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“ -ის წევრებმა საჩივარი პროკურატურაში შეიტანეს. გენერალურმა პროკურატურამ საქმეზე გამოძიება დაიწყო და კომპანიის დამფუძნებლებს რუსუდან კერვალიშვილს, მაია რჩეულიშვილს და ივანე ცაგურიას ბრალი წაუყენა. სამივე მათგანი დააკავეს, თუმცა, „ცენტრ-პოინტი ჯგუფის“ დამფუძნებლები მაია რჩეულიშვილი და რუსუდან კერვალიშვილი პროკურატურამ დაკავებიდანვე მალევე გაათავისუფლა, მოგვიანებით კი ცაგურიაც სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. სამივე ბრალდებულთან პროკურატურამ საპროცესო გარიგება გააფორმა და გამოძიებასთან თანამშრომლობის სანაცვლოდ, არასაპატიმრო ფორმა თავდებობა გამოიყენა. სამივე მათგანს გირავნობის სახით საკმაოდ სოლიდური თანხის გადახდა დაეკისრა. პროკურატურა ბრალდებულებს ბინათმშენებლობისთვის მოზიდული თანხების მითვისებაში ადანაშაულებს და მათ თაღლითობაში სდებს ბრალს.**



პროკურატურამ თაღლითური სქემის ნაწილი გაშიფრა, როცა „ცენტრ-პოინტი ჯგუფის“ დამფუძნებლებმა წინასწარ შეთანხმებულად სხვადასხვა დანაშაულებრივი სქემით სამართალსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინეს. პროკურატურა ბრალდებულებს მშენებლობისთვის მოზიდული 27 380 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის თაღლითური გზით მითვისებას ედავება. თუმცა, ხსენებულ საქმეზე გამოძიება აქტიურ ფაზაშია და „ცენტრ-პოინტი ჯგუფის“ სისხლის სამართლის საქმეში შესაძლოა ახალი გარემოებები და ბრალდებულებიც კი გამოჩნდნენ.

ცნობილია, რომ „ცენტრ-პოინტი ჯგუფის“ მიმართ სარჩელი დაზარალებულმა მოქალაქეებმა პროკურატურასა და ფინანსურ პოლიციაში **მიხეილ სააკაშვილის** მმართველობის დროსაც რამდენჯერმე შეიტანეს, მაგრამ უშედეგოდ. მხოლოდ ტელესიუჟეტები მზადდებოდა ამ პრობლემის შესახებ და არც ფინანსურად დაზარალებული მოქალაქეები დაუკმაყოფილებია ვინმეს და არც „ცენტრ-პოინტი ჯგუფის“ დამფუძნებლების და მოწილეებისთვის მოუთხოვია ვინმეს პასუხი, რადგანაც მათ უშუალოდ პრეზიდენტის ოჯახი მფარველობდა, აცხადებს ერთ-ერთი დაზარალებული „ექსკლუზივნიუსთან“ საუბარში.

**„მე იურისტი ვარ და ძალიან კარგად მესმის კანონი და გამოძიების ინტერესები, მაგრამ ის, რაც ახლა უნდა გითხრათ, უნდა იცოდეს საზოგადოებამ. „ცენტრ-პოინტი ჯგუფი“ რომ ამბობს, „დექსუსი“ სააკაშვილის ხელისუფლებამ არჩევნებისთვის სარეცხ მანქანად გამოიყენა და მანამდე ჩვენ ყველაფერი კარგად გვქონდა აწყობილიო, მათ ვანდეთ ჩვენ რამდენიმე წლით კომპანიის მართვაო. მაშინ ის მაინც თქვან „ცენტრ-პოინტი ჯგუფის“ დამფუძნებლებმა, რა ურთიერთობა ჰქონდა კომპანიასთან პრეზიდენტის დედას გიული ალასანიას, აკონტროლებდა თუ არა ის კომპანიის 70 პროცენტს, იყო თუ არა ნაციონალური მოძრაობისთვის „ცენტრ-პოინტი ჯგუფი“ იგივე წინასაარჩევნო ფულის სარეცხი მანქანა? როგორც „დექსუსის“ შესახებ ამბობს „ცენტრ-პოინტი“ ჯგუფის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის მეუღლე ვახტანგ რჩეულიშვილი, რატომ ანდო კომპანია „დექსუსს“ ამდენი ადამიანის ბედი, როცა კომპანია „დექსუსის“ საწესდებო კაპიტალს იმ დროისთვის 100 ლარს შეადგენდა? ამის შესახებ დასკვნა „საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველოსთვის“ ორგანიზაციამ დადო. ეს დასკვნა გასული წლის დეკემბერში გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნა. სწორედ ამ ხსენებული დასკვნის საფუძველზე დაიწყო გამოძიება პროკურატურამ „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დამფუძნებლების წინააღმდეგ. ამ კითხვებს გამოძიება დაუსვამს მათ და მოუწევთ სწორი პასუხის გაცემა. პირადად ჩემი ოჯახი და უამრავი ჩემი ახლობელია მათგან დაზარალებული. ყველა მათგანი გამოძიებასთან ითანამშრომლებს და ჩვენებას მისცემს. მე ამჟამადაც ფინანსურ პოლიციაში ვმუშაობ და თუ შესაძლებელია, ჩემი ვინაობა კონფიდენციალურად დარჩეს, რადგანაც გამოძიება არ მინდა დავაზარალო და არ მისაყვედურონ.... მიუხედავად ამისა, მინდა ამ თემის შესახებ ერთი საინტერესო ისტორია მოგიყვეთ, ეს უნდა იცოდეს ხალხმა, განაცხადა ჩემთან საუბარში კონფიდენციალურმა რესპონდენტმა.**

მე პროკურატურიდან ფინანსურ პოლიციაში სამუშაოდ მაშინ გადავედი, როცა დავით კეზერაშვილი იყო ფინანსური პოლიციის უფროსი. ერთ-ერთ მაღალ თანამდებობაზე ფინანსურ პოლიციაში ყოფილი პროკურორი დანიშნეს და მან შემომთავაზა მასთან სამუშაოდ გადავსულიყავი, მითხრა, მაღალი ხელფასი გექნება უცხოური ვალუტითო, ფინანსური პოლიციის ხელფასებს ბიძინა ივანიშვილი აფინანსებსო. ძალიან მომეწონა შემოთავაზება და 2005 წლის ბოლოს გადავედი სამუშაოდ ფინანსურ პოლიციაში. დანიშვნიდან ცოტა ხნის შემდეგ, ჩემს პროტეჟე მაღალჩინოსანს ვეუბნები, რა სწორი გადაწყვეტილება მივიღე, აქ რომ გადმოვედი სამუშაოდ, „ცენტრ-პოინტი ჯგუფმა“ ბინის ასაშენებელი ფული რომ წაიღეს ჩემგან, უკვე სამ წელზე მეტი გავიდა და იქნებ, როგორმე დავიბრუნო უკან ჩემი კუთვნილი თანხა ან ბინა ამიშენონ-თქო. გაეცინა ჩემს მეგობარს და ასე მითხრა, მათგან დაზარალებული ფინანსურ პოლიციაში, შს სამინისტროში, პროკურატურასა და სასამართლოშიც იმდენი ადამიანია, ვისაც თანხები გამოართვეს და იმის ნაცვლად, რომ ბინები აეშენებინათ ხალხისთვის, ახალ-ახალ მიწის ნაკვეთებს ყიდულობს „ცენტრ-პოინტიო“. დაველოდოთ, იქნებ რამე გამოგვივიდეს და გაერთიანებული ძალებით ყველამ ერთად შევუტიოთო, თან გამიცხადა, რომ თურმე 60 ათასი აშშ დოლარი თავის კიდევ ერთ თანამშრომელს (მისი ნათესავი იყო) ჰქონია ბინის მშენებლობისთვის შეტანილი. ამ საუბრიდან 3 თვის შემდეგ, 2006 წელს, მირეკავს ჩემი უფროსი ტელეფონზე და მეუბნება, სასწრაფოდ მოდი ჩემთან, ცუდი ამბავია, საქმე მაქვსო.



როგორ ჩამოვედი ქუთაისიდან თბილისში მანქანით, არ მახსოვს. რომ შევედი უფროსის კაბინეტში, თანამშრომელი უზომავდა წნევას. მაღალი წნევა ჰქონდა და მაგიდა წამლებით იყო გადავსებული. ვკითხე, რა ხდება- მეთქი. დავიღუპეთო, მიპასუხა. ახლა ველაპარაკე კეზერას და პირდაპირ და დაუფარავად მითხრა, რას მიქარავთ ბიჭო, რის ფულის უკან დაბრუნებას ან ბინის აშენებას ითხოვთ „ცენტრ-პოინტისგან“ მანდ მიშას დედა გიულა შევიდა 70-პროცენტიან წილში და ყველაფერს ის აკონტროლებს, მშენებლობის ბუმია და ააშენებენ ყველაფერს იმას, რასაც გიული ალასანია გადაწყვეტს. მოკლედ, „ცენტრ პოინტთან“ დაპირისპირება, იგივე გიული ალასანიასთან დაპირისპირებას ნიშნავს, ჩათვალეთ, რომ თითქოს ვიღაც დაგესხათ თავს და დაგაყაჩაღათ, მაგ ფულს, სანამ მიშაა ხელისუფლებაში, ვერ დაიბრუნებთ, მიშა კიდევ 20 წელი იქნება ხელისუფლებაში და გირჩევთ, ეს თანხა დაკარგულად ჩათვალეთო.

**„ცენტრ-პოინტში“ რომ გიული ალასანიაა, ეს იცის ნებისმიერმა მშენებელმა და არქიტექტორმაო.**

**ეს სიტყვები უთხრა ჩემს უფროსს დავით კეზერაშვილმა და მეც შემომითვალა, ფული და ბინა დაივიწყოსო. მოკლედ, ახლა რომ გამოდიან რჩეულიშვილები ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით და ამბობენ, „დექსუსი“ ხელისუფლების ფულის სარეცხი მანქანა იყოო, თავად ვინ იყვნენ, თუ არა მიხეილ სააკაშვილის ფულის სარეცხი მანქანა? შარშან, არჩევნების დამთავრების შემდეგ რომ გამოთქვეს პრეტენზია, „ცენტრ-პოინტი“ ჯგუფის დამფუძნებლებმა კომპანიის დაბრუნების შესახებ, მანამდე რატომ არ ამოიღეს ხმა არჩევნებამდე? იმიტომ არ ამოიღეს ხმა, რომ დარწმუნებული იყვნენ მიშას გამარჯვებაში და რუსუდან კერვალიშვილი ნაციონალების გასაპიარებლად და მხარდასაჭერად ბოლო დღემდე კარდაკარ დაწოწიალობდა. ბოლოს და ბოლოს, ნამუსიც კარგი საქონელია, რაა...**

**ახლა კი დაზარალებულ ხალხს კიდევ ატყუებენ „ცენტრ-პოინტი ჯგუფის“ დამფუძნებლები. ერთადერთი, რაც მათ უნდა გააკეთონ, ისაა, რომ აღიარონ სიმართლე, თქვან, რომ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დედა გიული ალასანია სრულად აკონტროლებდა “ცენტრ-პოინტი ჯგუფის“ ფინანსურ მენეჯმენტს. ეს აღიარონ, თორემ ვერც ქაღალდზე გიული ალასანიას ჩაშვება უშველით. მათ ხალხის დაკმაყოფილების გზები გამოძებნონ, ეს უჯობთ და ის თანხები, რაც გიული ალასანიამ წაიღო „ცენტრ-პოინტიდან“, უკან დააბრუნებინონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხის რისხვა მართლა არ ასცდებთ „ცენტრ-პოინტი ჯგუფის“ დამფუძნებლებს.“**

— ამ სიტყვებით დაასრულა საუბარი ინფორმატორმა.

**„ექსკლუზივნიუსი“ გენერალურ პროკურატურასთან დაკავშირებას და ერთი კითხვის დასმას შეეცადა, რა კავშირი ჰქონდა პრეზიდენტის დედას გიული ალასანიას „ცენტრ-პოინტი ჯგუფთან“ და თუ ერეოდა ის კომპანიის ფინანსურ საქმიანობაში?! ჩვენი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, რადგანაც პროკურატურაში ჩვენს ტელეფონს არ უპასუხეს!**

**თეონა რამაზაშვილი**

**წყარო:** http://exclusivenews.ge

ორმაგი სტანდარტი

# ობამას წინააღმდეგ საქმის აღძვრას გეგმავენ, სააკაშვილის გამო კი შეშფოთებულია ორიოდ კინკილა სენატორი





**მიხეილ სააკაშვილისთვის ბრალის წაყენების გამო ცალკეულ სენატორთა (ჯონ მაკკეინი, ბენ კარდინი, ჯინ შაჰინი და ჯიმ რიში) მხრიდან გამოთქმული უკიდურესი შეშფოთების ტალღა ჯერ გადავლილი არ იყო, როცა ამერიკელმა კანონმდებლებმა თავადვე დაამტკიცეს კანონპროექტი, რომლის საფუძველზეც კონგრესს პრეზიდენტ ობამას წინააღმდეგ საქმის აღძვრა შეუძლია.**

„რესპუბლიკელი“ კანონმდებლები აცხადებენ, რომ პრეზიდენტმა ობამამ უფლებამოსილებას გადააmeტა და კანონი დაარღვია, როცა 2013 წელს კონგრესის თანხმობის გარეშე, ხელი მოაწერა ჯანდაცვის სისტემის რეფორმირების კანონს.

ქართველების გადმოსახედიდან, პრეზიდენტ ობამას ეს ადმინისტრაციული კანონდარღვევა არაფერია ყოფილ პრეზიდენტ საკაშვილის სისხლის სამართლებრივ ბრალეულობასთან შედარებით, რომელსაც რატომღაც ცალკეული კონგრესმენები „გაგებით ეკიდებიან“. საინტერესოა, რას მოასწავებს ეს ორმაგი სტანდარტი, როცა ამერიკელები თავიანთ პრეზიდენტებს ყოველ ჯერზე იმპიჩმენტს უწყობენ, ხოლო სხვა ქვეყნის პრეზიდენტთან მიმართებით დიდსულოვნებას მოითხოვენ?!

ამერიკის პრეზიდენტების ბიოგრაფი, ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი ალან ლიხტმანი ფიქრობს, რომ კონგრესის გადაწყვეტილება აშკარად პოლიტიკურადაა მოტივირებული და ეს პოლიტიკური მანევრი, საპასუხო ცეცხლია, ზუსტად ისეთი, როგორიც 90-იან წლებში ბილ კლინტონის იმპიჩმენტი იყო.

**სხვათა შორის, ობამას ქმედების შემზღუდავი კანონპროექტის დამტკიცების დღე კონგრესში ძალზე ემოციურად წარიმართა. პალატის „რესპუბლიკელი“ წარმომადგენლები ობამას აკრიტიკებდნენ, რადგან პრობლემების გადასაწყვეტად აუცილებელი ზომების გატარება გახდა საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში, პრეზიდენტი ობამა მათ დაუკითხავად მიიღებდა უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა იმიგრაცია და ჯანდაცვა.**

**თუმცა, „დემოკრატი“ კანონმდებლების უმრავლესობა პრეზიდენტ ობამას წინააღმდეგ კანონის მიღებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა და მას შეურაცხმყოფელ და დამამცირებელ რეზოლუციად მიიჩნევდა. თავად პრეზიდენტი ობამა ამ რეზოლუციამ ხუმრობის ხასიათზე დააყენა — „რესპუბლიკელები“ დროს ფუჭად კარგავენ და აგვისტოს არდადეგებამდე დარჩენილ ორიოდე დღეს ტყუილად აცდენენ“.**

დასავლეთის ორმაგი სტანდარტების შესახებ თავისებური აზრი აქვს ყოფილ პოლიტპატიმარს, სამხედრო ექსპერტს **ვახტანგ მაისაიას.** მისი აზრით, მარტო ამერიკაში კი არა, ნებისმიერ ქვეყანაში სენატორები ორმაგი სტანდარტით მოქმედებენ. რუმინეთის პრეზიდენტ ბასესკუს წინააღმდეგაც რუმინეთის სენატმა აღძრა სისხლის სამართლის საქმე კორუფციისა და სამსახურებრივი მოვალეობის გადაჭარბებისთვის. ამ დროს კი ზოგიერთები უცხოეთში სააკაშვილის დამცველებად გვევლინებიან. თუმცა, ამის მიუხედავად, ამერიკის მთავრობა სააკაშვილს თავშესაფარს არ მისცემს, რადგან ამერიკაში არ არსებობს ამის პოლიტიკური პრეცედენტი. სააკაშვილს კი არა, ამერიკამ გაცილებით უფრო ძლიერ სტრატეგიულ პარტნიორს, ირანის შაჰს - მუხამედ ფეხლევს არ მისცა პოლიტიკური თავშესაფარი, რომელიც რევოლუციის შემდეგ ქვეყნიდან გაიქცა და კიბოს მძიმე სტადიაში იყო, ბოლოს იგი ეგვიპტის პრეზიდენტმა შეიფარა.

მაისაიას თქმით, ამერიკელები თავშესაფარს არ აძლევენ სისხლის სამართლის დამნაშავეებს. მართალია, სენატორთა უმცირესობა თავს იკლავს სააკაშვილისთვის, მაგრამ გაცილებით უფრო საინტერესოა მით რომნის პოზიცია, რომელიც „რესპუბლიკური“ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატია, ვიდრე „მაკკეინის და სხვა მარგინალი, წარსულში მყოფი“ პოლიტიკოსების შეფასებები. ამ დროს კი მით რომნი დუმს, ისევე, როგორც ჰილარი კლინტონი და პრეზიდენტ ბუშის უმცროსი ძმა, რომელიც მომავალი ერთ-ერთი საპრეზიდენტო კანდიდატია.

**„ბოლოს და ბოლოს, ამერიკის რამდენიმე კონგრესმენმა თავის დროზე ჰიტლერს დაუჭირა მხარი, სომოსას უჭერდნენ მხარს და პინოჩეტს. ამერიკა დემოკრატიული ქვეყანაა. ზოგი მხარს უჭერს ეშმაკს, ზოგი — ღვთის წარგზავნილს. გიგა ბოკერიამ 18 მილიონი დოლარი დახარჯა ლობისტური საქმიანობისთვის, ამიტომ უფრო ის მიკვირს, რატომ ბევრი ამერიკელი არ გამოექომაგა სააკაშვილს? რაც შეეხება ობამას, მას არ აქვს სისხლის სამართლის დანაშაულზე ბრალი წაყენებული. უბრალოდ, რამდენიმე სენატორი თუ კონგრესმენი აპირებს მისი იმპიჩმენტის დაწყებას. ასეთი იმპიჩმენტი იყო ბილ კლინტონის სექსუალურ სკანდალთან დაკავშირებითაც. კენედისთვისაც აპირებდნენ იმპიჩმენტის წაყენებას კუბის კრიზისთან დაკავშირებით. ნიქსონს უფრო ჰქონდა ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაული, ვიდრე ობამას ან კლინტონს.**

for.ge-სთან საუბრისას იურისტი **ლევან ალაფიშვილი** განმარტავს, რომ სააკაშვილისა და ობამას საქმეები განსხვავებულია — ერთია სისხლის სამართლის და მეორე — სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმე. ამერიკული გადაწყვეტილება არის დამატებით მექანიზმი იმ ამერიკულ კონსტიტუციურ სისტემაში, რომელიც მეტ კონტროლის მექანიზმს აძლევს კონგრესს, რომ ამერიკული სისტემის ძლიერი პრეზიდენტი კონტროლქვეშ ჰყავდეს. ეს ხდება მისი გადაწყვეტილების რევიზიისთვის.

**„კიდევ ერთი დამატებითი მძლავრი მექანიზმი შეიძინა კონგრესმა, რომ სასამართლოში დამატებითი მსჯელობის საგანი გახდეს პრეზიდენტის კანონშეუსაბამო გადაწყვეტილება. ამ მხრივ საქართველოს კანონმდებლობა წინ არის წასული, რადგან კომპეტენციათა დავა, გადაწყვეტილებები შესაძლებელია, გახდეს საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი. როგორი ავტორიტეტულიც არ უნდა იყოს ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკოსის, სენატორის შეფასება, ჩემთვის მაინც მთავარია სახელმწიფოსა და საერთაშორისო ინსტიტუციების შეფასებები. ამ კონტექსტში გასათვალისწინებელია მაკკეინის თუ სხვა ავტორიტეტული პოლიტიკოსების განცხადებები, მით უმეტეს, როცა მათ აქვთ პოლიტიკაზე გავლენის საშუალება“, —** აცხადებს ლევან ალაფიშვილი და დამაფიქრებლად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ სააკაშვილის შემთხვევაში, სამწუხაროდ, ჩვენი დიდი მეგობარი და მხარდამჭერი ამერიკა, ასევე, იქაური მნიშვნელოვანი პოლიტიკოსები შეშფოთებულნი არიან და ეს პოზიცია უკვე სახელმწიფო დეპარტამენტმაც გაახმაურა.

**მანანა ნოზაძე**

სათქმელი

# გაგახსენებთ, ქალბატონო ინგა...




მეც შვებულება შევწყვიტე, ოღონდ, თქვენგან განსხვავებით, ნებაყოფლობით.

თქვენი „საგანგებო რეაქციის“ გამო.

თქვენთვის ჩვეული ბუქი რომ დააყენეთ.

ღირდა კი ერეკლე კოდუას ბოდვა (ვერ მივისაკუთრებ — გიორგი ხაინდრავას შეფასებაა, რასაც სავსებით ვიზიარებ) თქვენს „შესაწუხებლად“, უფრო ზუსტად კი შვებულებიდან თქვენს გამოსაძახებლად და, ამ პაპანაქებაში, საბრალო ტელემაყურებლის კიდევ უფრო დასაზაფრავად?!

ვიდრე უშუალოდ პატარკაციშვილს არ შეეხნენ, მანამდე სად იყო „იმედი“, ან თქვენ სად იყავით?

იმედია, ამ ზაფხულსაც ქრისტიან-დემოკრატებთან არ ატარებდით. — უკვე ხომ მიხვდით, რომ ისინი ოპოზიციონერები არ ყოფილან?!

მშურს თქვენი გულუბრყვილობა.

**ეს ისეთი ნაკვალევია, ყვირილი რომ ვერ წაშლის**



ახლა მთავარი, რის გამოც შვებულება ნებაყოფლობით შევწყვიტე: აღმაშფოთა თქვენმა კომენტარმა გია ცაგარეიშვილის შენიშვნაზე - სად იყვნენ თქვენი კოლეგები მაშინ, როცა „იმედი“ დაარბიეს და პირადად თქვენ სასტიკად გცემესო?!

თქვენი კომენტარი ასეთი იყო: არც მახსენდება ჩემი კოლეგა, იმ დღეებში ჩემთვის თანადგომა რომ არ გამოეხატა(?!)

მე გაგახსენებთ, ქალბატონო ინგა.

დავით პაიჭაძე — ასეთი ჟურნალისტი გახსოვთ? თუ ჟურნალისტად არ თვლით(მართალიც იქნებოდით)?

არა მგონია...

სწორედ იმ დღეებში, გაზეთ „24 საათში“ გამოაქვეყნა სტატია, რომლითაც „იმედის“ დარბევა... გაამართლა?!).

აღშფოთებულმა, საპასუხო სტატიით მივაშურე იმავე გაზეთის რედაქციას. მამუკა ფაჩუაშვილმა, საპატიო მიზეზით (სიმამრი გარდამეცვალაო) ხელები დაიბანა, პაატა ვეშაპიძემ კი გამოქვეყნებაზე უარი განაცხადა(?!).

სტატია „რეზონანსმა“ გამოაქვეყნა, მართალია, ყოყმანის შემდეგ, ცოტა უცნაური სარედაქციო მინაწერით, მაგრამ გამოაქვეყნა.

ქალბატონო ინგა, კარგად მიმოიხედეთ და იქნებ სხვა კოლეგებიც აღმოაჩინოთ - ისეთები, იმ დღეებში თანადგომა რომ არ გამოუხატავთ.

სხვა საკითხია, შემდგომში როგორ გაამართლეთ ჩვენი თანადგომა, როგორ აღმოჩნდით პარლამენტსა თუ საკრებულოში ფსევდოოპოზიციად, როგორ შეუქმენით სასურველი ფასადი ნაციონალურ მოძრაობას.

ეს უდავო ფაქტია.

ეს ისეთი ნაკვალევია, ყვირილი რომ ვერ წაშლის.

მხიარულ შვებულებას გისურვებთ.

იმედია, სექტემბრამდე აღარ შეგ(ვ)აწუხებენ...

**იოსებ ჭუმბურიძე**

ცოდვებმა გიწიათ, მკვლელებო!

# სააკაშვილსა და მერაბიშვილს გელაშვილის ცემის ფაქტზე ბრალი დაუმძიმდათ

(პირველი გვერდიდან)

**საქართველოს პარლამენტის წევრის ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტი საქართველოს პროკურატურის მიერ დღეს სრულად გახსნილია და ამ დანაშაულისთვის ბრალდებები გამოტანილია მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ერეკლე კოდუას და გია სირაძის მიმართ. მიხეილ სააკაშვილის და ივანე მერაბიშვილის მიმართ გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3 დან 8 წლამდე ვადით“.**

* * *

**ირაკლი ოქრუაშვილი სააკაშვილს სთავაზობდა, შუამავალი მოეძებნა და საკითხი ძალადობის გარეშე გადაეწყვიტა, მაგრამ...**

**თავდასხმა სააკაშვილის კაბინეტში დაიგეგმა და წინააღმდეგი მხოლოდ ირაკლი ოქრუაშვილი იყო,** — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ყოფილმა დეპუტატმა ვალერი გელაშვილმა განუცხადა , რომლის ცემის ფაქტზეც მიხეილ სააკაშვილსა და ვანო მერაბიშვილს ბრალი დაუმძიმდათ.

გელაშვილის თქმით, ექსპრეზიდენტმა მისი დასჯა მერაბიშვილს დაავალა. ყოფილი პარლამენტარი აცხადებს, რომ ირაკლი ოქრუაშვილი სააკაშვილს სთავაზობდა, შუამავალი მოეძებნა და საკითხი ძალადობის გარეშე გადაეწყვიტა.

**„ოქრუაშვილმა შესთავაზა სააკაშვილს, რომელიც ყველაფერს ძალის გამოყენებით აგვარებდა, რომ მოეძებნა კაცი, რომელიც დამელაპარაკებოდა და ასე მოვაგვარებდით ჩვენს შორის არსებულ დაპირისპირებას. მაგრამ სააკაშვილი გაბრაზებული იყო, რაც დავუწერე გაზეთში, ჩემს სახლთან დაკავშირებით და ჩემზე შური იძია. თავდასხმა დაუკვეთა მერაბიშვილს, რომელმაც კოდუას დაავალა. კოდუა არის შემსრულებელი“.**

მისივე თქმით, სააკაშვილის კაბინეტში გამართული შეხვედრის დეტალები მას წყარომ აცნობა, რომლის ვინაობას არ დაასახელებს.

**შვეიცარიის ელჩს საქართველოში გუნთერ ბეხლერს, რამდენიმე დღის წინათ შვეიცარიის ეროვნულ დღეზე, იმაზე სასაუბროდ ვეწვიეთ, თუ როგორ იქცა მოკრძალებული ალპური ქვეყანა ევროპისა და მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ და მოწინავე ქვეყნად. თუმცა, როგორც რუსეთსა და საქართველოს შორის მედიატორი ქვეყნის წარმომადგენელმა, ბატონმა ელჩმა რეგიონში უსაფრთხოების სიტუაციის გაუმჯობესების საკუთარი ხედვაც გაგვიზიარა.**



## გუნთერ ბეხლერი:

# რუსეთი ერთი ქვეყანაა, ჩვენ კი უმრავლესობა ვართ

**— როგორ ფიქრობთ, რაშია შვეიცარიის წარმატების საიდუმლო? რამ აქცია ღარიბი, სხვადასხვა ეთნოსისგან შემდგარი ქვეყანა თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ სახელმწიფოდ?**

— მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სახელმწიფოებრიობა უკვე შვიდ საუკუნეზე მეტს ითვლის, ჩვენს აღმასვლას მე-19 საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი, როდესაც თანამედროვე ფედერალური კონსტიტუცია მივიღეთ. ამას მოჰყვა ლიბერალური რევოლუცია, კიდევ უფრო გაუმჯობესება კონსტიტუციის, რომელიც ჩვენი წარმატების გასაღები გახდა. კონსტიტუციაზე დაყრდნობით, შემუშავდა სახელმწიფოებრივი მოწყობა, რომელიც ზედგამოჭრილი აღმოჩნდა შვეიცარიისთვის — ქვეყნისთვის, რომელიც შედგება თანაბარი უფლებების მქონე კანტონებისაგან და, რომელსაც ჰყავს ეთნიკურად, რელიგიურად მრავალფეროვანი მოსახლეობა. ყოველივე ამის ფონზე, შვეიცარიის მთავრობა წარმოადგენს კოალიციას, სადაც გადაწყვეტილება მიიღება საერთო კონსენსუსით პარტიებს შორის, რაც გამორიცხავს ერთი მხარის მიერ გადამწყვეტი პოლიტიკური ძალის არსებობას. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხი კი რეფერენდუმების მეშვეობით წყდება — ხალხის უშუალო ნებით. ვფიქრობ, სწორედ ასეთ მიდგომაშია ჩვენი წარმატების საიდუმლო.

**— შვეიცარიული კონფედერაცია, შეიძლება ითქვას, ერთადერთია, რომელმაც „იმუშავა“. მაინც როგორ მოახერხეთ, „მოგერიგებინათ“ გერმანული, ფრანგული და იტალიური წარმოშობის ხალხები და მათგან ერთი ერი შეგეკრათ? მით უმეტეს, რომ ეს ხალხები ისტორიულად ერთმანეთის მეტოქეებად მიიჩნევიან...**

— მე ვფიქრობ, ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი ეკონომიკური სიძლიერე გახლდათ. შვეიცარიის გამდიდრებას ხელი შეუწყო ევროპის ინდუსტრიალიზაციამ. ამას გარდა, როგორც წესი, ჩვენი კანტონები არ არის დაყოფილი ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფების მიხედვით, რომლებიც მხოლოდ საკუთარი ინტერესების გატარებაზე იქნებოდნენ ორიენტირებულნი. ამას გარდა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ნეიტრალიტეტის გამოცხადებამაც. ხალხისთვის მშვიდობისა და უსაფრთხოების სტაბილურ განცდას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს.

**— ნეიტრალიტეტი კიდევ ერთი ფენომენია, რომლის „ნოუჰაუც“, ალბათ, შვეიცარიელებზე კარგად არავინ იცის. როდის და როგორ უნდა გამოაცხადო ნეიტრალიტეტი და როგორ უნდა შეინარჩუნო იგი? როგორ ფიქრობთ, რეალურია თუ არა ნეიტრალიტეტის გამოცხადებაზე ფიქრი და სწრაფვა ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა?**

— ჩვენს ნეიტრალიტეტს ორი აუცილებელი წინაპირობა ჰქონდა — საერთაშორისო საზოგადოების თანხმობა და ჩვენი საკუთარი სამხედრო პოტენციალი, რაც შესაძლებლობას გვაძლევდა, საკუთარი ნეიტრალიტეტი დაგვეცვა. საგულისხმოა, რომ შვეიცარიის არმია, მიუხედავად გამოწვევების ნაკლებობისა და ბიუჯეტის შემცირებისა, დღესაც მსოფლიოში ერთ-ერთ მოწინავედ რჩება. მსოფლიო ომების პერიოდში, ყველას ხელს აძლევდა, ცენტრალურ ევროპაში ყოფილიყო ე.წ. მშვიდობის მცირე ნავსაყუდელი, სადაც თავის შეფარება შეეძლოთ მათ, ვისაც არ სურდა, კონფლიქტი შეხებოდა. ამან ასევე შეუწყო ხელი საბანკო სისტემის განვითარებასაც, რაც დღესდღეობით შვეიცარიის ეკონომიკური კეთილდღეობის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველია. რაც შეეხება საქართველოს, ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ ამჟამად თქვენს ქვეყანას არ აქვს იმის გარანტიები, რომ ნეიტრალიტეტის გამოცხადების შემთხვევაში მეზობლები მის ნდობას 100 პროცენტით გაამართლებენ და თავს არ დაესხმებიან. ვფიქრობ, მსოფლიო საზოგადოების ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ კავკასიის რეგიონში და, ზოგადად იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, რომელთაც ნატოში შესვლა ვერ მოახერხეს, უკრაინის ჩათვლით, ე.წ. უსაფრთხოების ნაპრალია, რომლის ამოვსებაც უკვე 25 წელზე მეტია, ვერ ხერხდება. ასეთ სიტუაციაში ნეიტრალიტეტზე ლაპარაკი ნაადრევია. თუ დასავლეთს სურს, გაუმკლავდეს იმ რთულ გამოწვევებს, რაც უკრაინასა და კავკასიის რეგიონშია, აუცილებელია მათთვის უსაფრთხოების გარანტიის მიცემა.

**— და ეს როგორ წარმოგიდგენიათ იმის გათვალისწინებით, რომ ნატოს ღია კარში, როგორც ჩანს, კიდევ კარგა ხანს ვერ შევაბიჯებთ?**

— არჩევანი არცთუ ისე დიდი და სახარბიელოა: ნატო შედარებით გრძელვადიანი გამოსავალია, ეუთო ჰარდ-უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფს, ასევე გაეროც, მიუხედავად მისი უშიშროების საბჭოსი. მე ოპტიმალურად ორი გამოსავალი მესახება: პირველი, სახელმწიფოთაშორის დონეზე მოხდეს შეთანხმება ევროპის ამ ნაწილში იარაღის გამოუყენებლობის შესახებ. იარაღის გამოუყენებლობა გარანტირებული უნდა იყოს შეთანხმების ყველა მონაწილე ქვეყნის მიერ, რუსეთის ჩათვლით. რეალურია თუ არა ეს მოცემულ მომენტში, სხვა საკითხია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს მომგებიანი იქნება ყველასთვის, ისეთი ქვეყნებისთვის კი, როგორც საქართველოა, ნეიტრალიტეტის მაგვარი ეფექტი ექნება. მეორე ვარიანტია უფრო ღრმააზრიანი თავდაცვითი სტრატეგიის შემუშავებაა. ამისთვის, ვფიქრობ, შეიძლება იმ ბერკეტების გამოყენება, რომელიც ეუთოს აქვს და სავალდებულოა მთელი ევროპისათვის, რუსეთისა და ცენტრალური აზიის ჩათვლით — იქნება ეს რეგულაციები იარაღის გამოყენების და შემცირების შესახებ, მათი მონიტორინგი და ა.შ.

**— თეორიულად, თქვენი ორივე იდეა მშვენივრად გამოიყურება, მაგრამ რამდენად შეიძლება მათი პრაქტიკაში განხორციელება? იარაღის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმებით დავიწყოთ: როგორ აპირებთ, აიძულოთ ან დაარწმუნოთ რუსეთი, დათმოს თავისი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ბერკეტი „კეთილმეზობლურ“ ურთიერთობებში? ამას გარდა, რეგიონში სხვა სამეზობლო კონფლიქტებიც არსებოს. მაგალითად, სომხეთსა და აზერბაიჯანს რას ეტყვით, რატომ უნდა შეწყვიტონ თავიანთი „ცივი ომი“? ყოველივე ამის გათვალისწინებით, ეს თქვენი გამოსავალი ნატოს წევრობაზე ნაკლებ ეფემერული სულაც არ ჩანს . . .**

— ვერ დაგეთანხმებით, მე ვფიქრობ, ეს საკმაოდ რეალურია. უკრაინის კონფლიქტის შემხედვარე, დასავლეთმა უკვე ცხადად გააცნობიერა, რომ სიტუაციის ასე დატოვება არ შეიძლება, შესაბამისად, მოლაპარაკებები გამოსავლის საპოვნელად ჩატარდება განსაკუთრებული ძალისხმევით. დავიწყოთ იმით, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციები დროთა განმავლობაში ერთობ ეფექტური იქნება და, ჩემი აზრით, ამას უკვე მოსკოვშიც აცნობიერებენ. სანქციები რუსეთს აიძულებს, დაჯდეს მოლაპარაკების მაგიდასთან, ეს კი ერთადერთი გამოსავალია. იარაღის გამოუყენებლობაზე შეთანხმება არათუ თეორიული, არამედ ერთობ პრაგმატული ნაბიჯი მგონია. ფაქტია, თუ მოვახერხებთ ამ მოლაპარაკებების შედეგად იარაღის გამოუყენებლობის გარანტიის მიღებას, ეს რეგიონის და ზოგადად ევროპის უსაფრთხოებისთვის უზარმაზარი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

**— როგორ ფიქრობთ, ერთსულოვანი იქნება ევროპა ამ მოლაპარაკებებში? შორს რომ არ წავიდეთ, იგივე სანქციების დაწესებას ხელი არ შეუშლია საფრანგეთისთვის, რუსეთისათვის „მისტრალების“ მიყიდვა გაეგრძელებინა. საიდუმლო არავისთვისაა ევროპის მთავარი ძრავის, გერმანიის და რუსეთის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება. ამ ყველაფრის ფონზე, რამდენად ძალუძს ევროპას, რუსეთს საკუთარი ხედვა ჩააგონოს?**

— ამ შემთხვევაშიც მე ვფიქრობ, მოლაპარაკებების მაგიდასთან უნდა დასხდნენ არა ცალკეული სახელმწიფოები, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციები, მაგალითად იგივე ეუთო. რუსეთი უკვე არის ამ ორგანიზაციის წევრი, რაც იმას ნიშნავს, რომ ეუთოს მითითებები და რეგულაციები მასზეც ვრცელდება. ეუთოს არსენალშია ასევე სამართლებრივი ნორმები შეიარაღებისა და იარაღის გამოუყენებლობა-შემცირების შესახებ, ასე რომ, ეს კარგი პლატფორმა იქნებოდა კონკრეტული გეგმის შესამუშავებლად.

**— ის, რომ რუსეთი უკვე არის ეუთოს წევრი, განა არ ნიშნავს იმას, რომ კრემლს შეუძლია, ვეტო დაადოს ყველაფერს, რასაც ამ ორგანიზაციაში მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ მიიჩნევს? მაგალითისთვის საქართველოში ეუთოს მისიის დახურვაც გამოგვადგება...**

— მიუხედავად მისი რესურსებისა და პოტენციალისა, რუსეთი ერთი ქვეყანაა, ჩვენ კი უმრავლესობა ვართ. კრიზისი იმ მასშტაბისაა, რომ იგი საერთო უსაფრთხოების პრიორიტეტად იქცა. ეს არ არის რეგიონული მასშტაბის კონფლიქტი, სადაც ევროპა მესამე მხარეა. სწორედ ამიტომაც დავაკისრეთ რუსეთს სანქციები.

**— რა მოხდება, თუ რუსეთი თქვენს სანქციებს საკუთარს დაუპირისპირებს იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც მის რესურსებზე, მაგალითად გაზზე არიან დამოკიდებულნი?**

— აქ მარტივადაა საქმე: თუ გაზს რუსეთისაგან არ ვყიდულობთ, ესე იგი, რუსეთს ფულსაც არ ვუხდით. ასე რომ, ამით ისევ რუსეთი დაზარალდება. გარდა ამისა, ჩვენ საკმარისი რესურსები გვაქვს იმისთვის, რომ რუსეთი ხვდებოდეს, ასეთი სტრატეგიით ვერაფერს მიაღწევს.

**— ბოლო შენიშვნაც: რუსეთმა კიდევაც რომ მოაწეროს ხელი იარაღის გამოუყენებლობაზე ხელშეკრულებას, რა გარანტია არსებობს იმისა, რომ არ დაარღვევს? შეგახსენებთ, 1994-ში მოსკოვმა ბუდაპეშტის ხელშეკრულებასაც მოაწერა ხელი, რაც უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას უზრუნველყოფდა, შედეგად კი, თქვენც იცით, რა მივიღეთ.**

— სამართლიანი შენიშვნაა. თუმცა, მე ვფიქრობ, აქ თითს რუსეთისკენ კი არა, მისი ხელმძღვანელობისკენ უნდა ვიშვერდეთ. მაგრამ ადრე თუ გვიან, ეს ხელისუფლება არჩევნების გზით შეიცვლება. მანამდე კი მოსკოვმა უნდა დაინახოს, რომ ეს არის ევროპის კოლექტიური პოზიცია, რომლისთვისაც ანგარიშის გაწევა მის ინტერესებში შედის.

**ინტერვიუ ჩაწერა**
**ვაჟა თავბერიძე**

---

**ორიოდ სიტყვით...**

## სანდრო ბრეგაძე: მალე ყველა ისეთ სიმართლეს გაიგებთ, რომ ბევრ რამეზე საბოლოოდ აგვეხილება თვალი! ბევრს ეშინია, მაგრამ შიში ვერ იხსნის (პოლიტიკურ) სიკვდილსა!



მოძრაობა ეროვნულების ლიდერი **სანდრო ბრეგაძე** სოციალურ ქსელში რამოდენიმე მინიშნებას აკეთებს და გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნავს, რომ „სიმართლის თქმის დრო“ დგება. ბრეგაძის თქმით, სიმართლის თქმის შემდეგ რამდენიმე პოლიტიკოსისთვის პოლიტიკური სიკვდილი გარდაუვალი იქნება. **„რეპორტიორი“** განცხადებებს უცვლელად გთავაზობთ:

**„ვფიქრობ, პირად გამოცდილებაზე დამყარებული შესანიშნავი შეგონებაა — დაელოდეთ და აუცილებლად დადგება სიმართლის თქმის დრო და ყველა გაიგებს სიმართლეს! ვიღაც ცნობისმოყვარე იტყვის დღესვე ითქვასო, ვიღაცა — ხვალეო და ასე შემდეგ. მაგრამ მათ არ იციან, რომ სიმართლის თქმა უკვალოდ არ უნდა დაიკარგოს. სიმართლე, შესაძლოა, ადრე თქვა და მას არანაირი შედეგი არ მოჰყვეს, უბრალოდ ვერ გაიგონ ან ყურადღება არ მიაქციონ ან ბევრ სხვა რამეში ჩაიკარგოს და სიმართლის თქმა ფუჭად გასროლილ ვაზნას დაემსგავსოს, ღირებულება დაკარგოს და მაშინ, როდესაც მისი თქმა საჭირო გახდება, იმდენად გახუნებულ-დევალვირებული იყოს, რომ კაპიკი იყოს მისი ფასი. მეორეს მხრივ, არც უნდა დაგვიანდეს სიმართლის თქმა, რადგან დაგვიანებისას გარემო უკვე იმდენად ჩამპალი და გადამწიფებული იქნება, რომ სიმართლის თქმა ვერაფერს შეცვლის. თუ კაცი ჭკვიანია, ერთგულია ქვეყნისა და თუ მას შედეგის-სიმართლის გამარჯვების შედეგის დადგომა სურს და არა სკანდალისტობა ან იაფი პოპულარობა, ის შესაფერის მომენტს, დროს და ადგილს შეარჩევს, რათა მისმა ნათქვამმა სიმართლემ სიცრუე დაამარცხოს და ბრმებს თვალი აუხილოს!**

**სიმართლეების თქმის დრო დგება! ეს ძალიან მახარებს, რადგან მალე ყველა ისეთ სიმართლეებს გაიგებთ, რომ ბევრ რამეზე საბოლოოდ აგვეხილება თვალი! ბევრი ცრუ გმირი ის აღმოჩნდება, რაც არის, ხოლო ბევრი უსამართლოდ დაჩაგრული გამართლდება! დადგება განკითხვის დღე(ან თვე) და ყველა სიმართლე მზის სინათლეს იხილავს! ვიცი, ბევრს ეშინია,მაგრამ შიში ვერ იხსნის (პოლიტიკურ) სიკვდილსა! რამდენიმე სიმართლეს მეც მოვფენ ნათელს!“ —** წერს ბრეგაძე.

**თეონა რამაზაშვილი**

### როცა მართლმსაჯულება ფხიზლობს

## „წერტილის“ მოლოდინი სკანდალურ ისტორიაში,

### ანუ დამნაშავენი ყველგან კანონის გვერდის ავლას ცდილობენ

**დეტექტიურ ისტორიას, თითქმის ტრეშ-ტრილერს უწოდებს დღეს ყაზახეთში ბევრი მასობრივი ინფორმაციის საშულება გამოკვლევას, რომელიც წარმოებს ეგრეთ წოდებულ დოქტორ შორაზთან დაკავშირებით. ეს პერსონაჟი არის ერთ-ერთი იმ მრავალრიცხოვან პერსონაჟთა შორის, რომლებიც დაცვას ევროპაში ეძებდნენ, ცდილობდნენ, დამალვოდნენ სისხლის სამართლის დევნას. და ერთ-ერთი მათგანი, ვისაც ეს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამოსდიოდა.**

რატომ უნდა ვილაპარაკოთ ამაზე წარსულ დროში? ალბათ, იმიტომ, რომ ამ ბატონმა ამ ცოტა ხნის წინათ შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი — მალტაზე მყუდრო ცალკე ბინის ნაცვლად მას მისცეს კომფორტული საგამოძიებო იზოლატორის ავსტრიის იოზეფშტადის ციხეში, ვენის მიწათმოქმედების სასამართლომ კი უკვე მერამდენედ მიიღო გადაწყვეტილება წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ. მიუხედავად დოქტორ შორაზის ადვოკატების მცდელობისა, გაეთავისუფლებინათ სამეურვეო გირავნობით, არაფერი გამოდის. მეტად სერიოზული ბრალდებებია წაყენებული ამ ადამიანის მისამართით.

ავსტრიის სამართალდამცავ ორგანოებს აქვთ საფუძველი, ივარაუდონ, რომ საქმე აქვთ მკვლელთან, აღნიშნავენ ყაზახეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. როგორც სისხლის სამართლის საქმის მასალები იუწყებიან, შორაზმა და მისმა ხელქვეითებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ორი ბიზნესმენი, როდესაც „გადატვირთეს“ ისინი ფსიქოტროპული პრეპარატებით, გაგუდეს, შემდეგ ცხედრები დამალეს კირიან კასრებში. თავად კასრები კი ჩაფლეს მიუვალ ადგილებში. ბანალურია მკვლელობის მიზანი — მოგების წყურვილი. მსხვერპლს აწამებდნენ, მათგან მოითხოვდნენ, გადაეწერათ შეთავაზებულ ფირმებზე თავიანთ ბიზნესის ნაწილი, შემდეგ კი მათ უბრალოდ იშორებდნენ, როგორც სახიფათო მოწმეებს.



შორეულ ყაზახეთში, სადაც ტრაგედია ტრიალებდა, დოქტორ შორაზს იცნობენ რახატ ალიევის სახელით. ეს იყო დიდი ჩინოვნიკი და ბიზნესმენი, რომელიც, როგორც ვხედავთ, არაფერზე ამბობდა უარს გამდიდრების მიზნით. და როდესაც, ბოლოს და ბოლოს, ის ქვეყნიდან გაიქცა, მისი პირადი ქონება მრავალ მილიონ დოლარს ითვლიდა. ამავე დროს მას მისდევდა დანაშაულობათა შლეიფი, სადაც მკვლელობა მხოლოდ ერთ-ერთი ეპიზოდია. ყაზახეთის სასამართლომ მას 40 წლის პატიმრობა მიუსაჯა.

მაგრამ ევროპაში ნებისმიერი დევნილი, თუნდაც ის მართლაც დამნაშავეა, განიხილება, უწინარეს ყოვლისა, უდანაშაულობის პრეზუმპციით. მით უმეტეს, არ უნდა გამოვრიცხოთ ისიც, რომ ალიევი სუპერმდიდარი ადამიანია. ოლიგარქებს კი არასოდეს უჭირთ, გვერდი აუარონ კანონებს.

თავად დაიანგარიშეთ — დოქტორი შორაზი გაიქცა ყაზახეთიდან 2007 წელს, საგამოძიებო იზოლატორში კი მოხვდა მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუ არის საფუძველი, ბრალი დაედოს ალიევს მკვლელობაში, რატომ უმალვე არ მიიღეს ამომწურავი ზომები სრული და ყოველმხრივი გამოკვლევისათვის?

როგორც იურისტები განმარტავენ, ყაზახეთი 2011 წლამდე მოითხოვდა მისთვის ალიევის გადაცემას, მაგრამ მიიღო უარი. და ოლიგარქი უკვე, ეტყობა, ზეიმობდა გამარჯვებას, მაგრამ არ გაითვალისწინა, რომ საერთო შეთანხმებების შესაბამისად, ავსტრია, რომელმაც უარი განაცხადა გადაცემაზე, ვალდებულია, მოაწყოს თავისი გამოკვლევა. და ის, რომ დოქტორი შორაზი ჩასახლდა საკუთარ იზოლატორში, მეტყველებს ბევრ რამეზე. როდესაც სამი წლის განმავლობაში შეასრულა ნაყოფიერი გამოკვლევა, შეისწავლა მრავალრიცხოვანი ფაქტები და დაკითხა ასზე მეტი მოწმე, მოიზიდა მაღალკვალიფიციური ექსპერტები არსებულ დადასტურებათა შესაფასებლად, ვენის პროკურატურამ გასცა ოლიგარქის დაპატიმრების ევროპული ორდერი. და ამას მოფიქრებულ საქციელს ვერ უწოდებ. მით უმეტეს, რომ სასამართლომაც, რომელმაც ალიევ-შორაზის დაპატიმრება გააგრძელა, ფაქტობრივად, დაადასტურა მისი დაპატიმრების დასაბუთებულობა.

გასაგებია, რომ ბრალდებულის ადვოკატები კვლავ იცავენ დაცვის თავიანთ ხაზს, იმედი აქვთ, რომ სისხლის სამართლის დანაშაულს აქვს პოლიტიკური ქვეტექსტი, და ირგვლივ სიცრუესა და სიყალბეს ხედავენ. მათი აზრით, ალიევი პოლიტიკური დევნის მსხვერპლია, არის ოპოზიციონერი და ყველა მტკიცებულება ფალსიფიცირებულია. მაგრამ უნდა ითქვას, რომ სისხლის სამართლის პოლიციის ფედერალურმა სასამართლომ ვენის პროკურატურის დავალებით გულდასმით შეაფასა ყაზახეთის საგამოძიებო მოქმედება და შეადგინა შემდეგი წერილობითი დასკვნა: **„რამდენადმე საკმარისი საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ ბრალდება ალიევისა და მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ არის ხელისუფლების მიერ ფალსიფიცირებული, არ არსებობს“.**

ალიევისა და მისი მრავალრიცხოვანი კონსულტანტების სტრატეგია უკიდურესად მარტივია: ისინი ქმნიან მირაჟს, რომელსაც შეთქმულების თეორია ეწოდება. დაცვა იგება კონსპიროლოგიურ თეორიებზე, რომლებიც მცირე კრიტიკასაც კი ვერ უძლებენ. აბა, რა ოპოზიციონერია ალიევი. საკმარისია, ვახსენოთ მისი ბოლო თანამდებობა, რომ გავიგოთ ეს — ის ავსტრიაში ყაზახეთის დიპლომატიური უწყების ხელმძღვანელი იყო.

ნორმალური ოპოზიციონერები ჩვეულებრივად გარბიან სამშობლოდან, ვინაიდან შედიან მკაცრ კონფრონტაციაში ხელისუფლებასთან, იმიტომ რომ ქმნიან პოლიტიკურ პარტიებს, იკავებენ აქტიურ სამოქალაქო პოზიციას. ალიევმა ქვეყანა სხვა მიზეზების გამო დატოვა. მას არ შეუქმნია პარტიები, არ იბრძოდა დემოკრატიისთვის, მან თავი ჩარიცხა ოპოზიციაში მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისი პერსონით სერიოზულად დაინტერესდნენ ყაზახეთის სამართალდამცავი ორგანოები.

ასე რომ, თავისუფლების აღკვეთა — ესაა ოლიგარქისა და სამართალდაცვის სისტემის შვიდწლიანი დაპირისპირების კანონზომიერების შედეგი. ის მაგრად დაამუშავეს, ასე რომ ციხიდან გირაოთი გამოსვლის იმედიც არ უნდა ჰქონდეს. რა ტაქტიკას არ მიმართავენ ადვოკატები, რომ გამოიყვანონ დოქტორი შაროზი, მაგრამ ყველაფერი ამაოა. ისიც კი მოიფიქრეს, ექციათ იგი კრიმინალური სამყაროს მსხვერპლად. თითქოსდა მას ციხეში ჩაგრავენო. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები წერენ, რომ ის: „განიცდიდა თავდასხმებსა და ხელყოფებს.“

ალიევი, მისი სიტყვებით, გაქურდეს და დააშანტაჟეს, რასთან დაკავშირებითაც მისი დახურულ კამერაში გადაყვანაც კი გახდა საჭირო, იყტობინება გაზეთი Der Falter. შედეგად მან თავი მოისყიდა გამომძალველებისაგან, გადაიხადა რამდენიმე ათასი ევრო. ამის შემდეგ ალიევი ორადგილიან დახურულ კამერაში გადაიყვანეს. გადაყვანა ერთადგილიან კამერაში არ განიხილება, ვინაიდან არის ალიევის თვითმკვლელობის საფრთხე, აღნიშნავს გამოცემა.

აქ უნდა ითქვას, რომ ინფორმაციები მასობრივი ინფორმაციების საშუალებებში ერთობ ურთიერთგამომრიცხავია. ჯერ ერთი, სისხლის სამართლის სამყარო, რახან მან იკისრა მონარქის ქისის „ბერტყვა“, რამდენიმე ათასით არ დაკმაყოფილდება. ეს ფაქტია. მეორეც — უგუნურად გამოიყურება ვარაუდი მისი შესაძლო თვითმკვლელობის შესახებ.

სხვათა შორის, თუ მასმედიის ინფორმაციას დავუჯერებთ, თანამეკამერეებმა მას რამდენიმე ფეხბურთის მაისური და ქამარი მოჰპარეს. როგორ შეესაბამებოდა ეს ფაქტი ინფორმაციას სუიციდური საფრთხის შესახებ?

ერთი სიტყვით, შეკითხვა ბევრია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ადვოკატები უბრალოდ გეზს საზოგადოებრიობის შებრალებასა და შემწყნარებლობაზე იღებენ.

მაგრამ უშველის კი ეს? სანამ ალიევის დამცველები თავს არ იზოგავენ ტაქტიკისა და სტრატეგიის არჩევანში, ამ ადამიანის რეზონანსულ მკვლელობებში მონაწილეობის ალბათობის დამადასტურებელი ბაზა კვლავ იზრდება. იურიდიული ენით რომ ვილაპარაკოთ, ის „სერიოზული ეჭვის ქვეშაა“. და ერთ-ერთი მიზეზი, რომლის მიხედვითაც ოლიგარქი რიკულებს მიღმა რჩება — ესაა იმის საფრთხე, რომ ის დაემალება მართლმსაჯულებას და შეძლებს, მოახდინოს ზემოქმედება მოწმეებზე.

ასე რომ, ყველაფერი ძალიან სეროზულადაა, მიაჩნიათ ყაზახეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. უნდა ველოდოთ სასამართლოს, რომ წერტილი დაესვას ამ სკანდალურ ისტორიას.

**თენგიზ სანიკიძე,**
**ქ. ასტანა**

### ხედვა შორიდან

## უკრაინის პრეცედენტი, რუსეთის ინტერესები და აფხაზური მუხრუჭი საქართველოს NATO-ში გაწევრების გზაზე

**პუბლიკაცია, რომლის ავტორია ვენის (ავსტრია) ანალიტიკური ცენტრის ვიცე-პრეზიდენტი ჰანს-გეორგ ჰენრიხი, ეხება უკრაინის კრიზისს, ევროკავშირთან ურთიერთობას და ამ ფონზე გაანალიზებულია აფხაზეთის კონფლიქტის მნიშვნელობა საქართველოს NATO-ში გაწევრებისათვის.**

**„უკრაინის „ევრომაიდანი“ რუსეთის სასიცოცხლო ინტერესებს შეეხო და კიევსა და მოსკოვს შორის ღრმა კონფრონტაცია გამოიწვია. მოლდოვასთან და საქართველოსთან ასოციირების შეთანხმების ხელმოწერის დროს იყო იმის ეჭვები, რომ, შესაძლოა, მათთან მიმართებითაც იგივე სცენარი განვითარებულიყო. საქართველოსა და აფხაზეთის მაგალითი გვაჩვენებს, რომ კონფლიქტის განვითარების პოტენციალი მართლაც არის, მაგრამ სიტუაცია უკრაინისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.**

**აფხაზეთი — ეს მცირე შავიზღვისპირა ტერიტორიაა, რომლის დამოუკიდებლობა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მხოლოდ რუსეთმა და კიდევ ორიოდე სახელმწიფომ აღიარა. ასე რომ, აფხაზეთის პრობლემა საბოლოოდ, 20 წლის სისხლიანი კონფლიქტის შემდეგ, რომლის შედეგად ასეულ ათასობით ქართველი ლტოლვილად იქცა, ჯერ კიდევ მოუგვარებელია და შესაბამისად, კონფლიქტი არ ჩამქრალა. აფხაზეთი პოლიტიკურად და ეკონომიკურად თითქმის მთლიანად რუსეთზეა დამოკიდებული, მისი ბიუჯეტის 70%-ს რუსეთი აფინანსებს.**

**მოსკოვისათვის, პრინციპში, მეორეხარისხოვანია და ძალიან დიდი მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელი კლანი იქნება აფხაზეთის ხელისუფლებაში. ამის მიუხედავად, კრემლმა აფხაზეთში მაისის ბოლოს წარმოქმნილი შიდაპოლიტიკური კონფლიქტის - ალექსანდრე ანქვაბისა და რაულ ხაჯიმბას დაპირისპირების მოსაგვარებლად სოხუმში თავისი წარმომადგენლები გაგზავნა. აშკარაა, რომ რუსეთს არ სურს კონფლიქტის ესკალაცია, რათა კავკასიაში კიდევ ერთი დაპირისპირების კერა არ მიიღოს.**

აფხაზეთს რუსეთისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, იქ რუსეთის ყოფნა საქართველოსთან ომის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა: გუდაუთასთან ახლოს მდებარე ბომბორას სამხედრო-საჰაერო ბაზის, ოჩამშირეში კი — სამხედრო-საზღვაო ნავსადგურის და რამდენიმე რადიოლოკაციური სადგურის მეშვეობით რუსეთს ფაქტიურად მთელი სამხრეთ კავკასიის, უპირველესად კი, საქართველოს სრული გაკონტროლება შეუძლია. უკრაინის კონფლიქტმა შავი ზღვის აფხაზურ სექტორშიც შექმნა დაძაბულობის რისკი.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერას შეუძლია ერთგვარი რეგრესი გამოიწვიოს ორმხრივ ქართულ-რუსულ ურთიერთობებში, თუმცა, ამ დოკუმენტის დებულებები რუსეთისაგან ენერგოშემცველების იმპორტზე და იმ რუსულ კაპიტალზე, რომელიც საქართველოს საკვანძო დარგებშია დაბანდებული (ენერგეტიკა, საბანკო სექტორი, სამთამადნო წარმოება), როგორც ჩანს, არ აისახება.

ამასთან, რუსული მხარე მგრძნობიარეა იმ სიგნალების მიმართ, რომლებიც NATO-საგან და საქართველოსგან (ალიანსისაკენ მისი სწრაფვის გათვალისწინებით) მომდინარეობს. არაა გამორიცხული, რომ საქართველო-ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისადმი მოსკოვის „სიმეტრიული“ პასუხი რუსეთ-აფხაზეთის ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებაში გამოიხატოს. აშკარაა, რომ თუ საქართველო NATO-სკენ სვლას გააგრძელებს და ალიანსში გაწევრება, ახლო და საშუალოვადიან პერსპექტივაში რუსული მხარისაგან დაკავებული ტერიტორიების რეინტეგრაცია და ლტოლვილების (იძულებით გადაადგილებული პირების) დაბრუნება გამორიცხულია.

რუსეთს აფხაზეთში სტაბილურობა სურს. შესაძლოა, რაღაც მსგავსება მართლაც არის აფხაზეთში მომხდარ მღელვარებასა და უკრაინულ „ევრომაიდანს“ შორის (საერთოდ, ყველა რევოლუციებს საწყის ეტაპზე ერთმანეთთან რაღაც მსგავსება აქვთ), მაგრამ აფხაზური ამბები მაინც ლოკალურია და უმეტესად, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებითაა გამოწვეული. გარდა ამისა, ანტისამთავრობო გამოსვლების მიზეზები მდგომარეობს აგრეთვე აფხაზეთის აღმოსავლეთ რეგიონში მცხოვრები ქართველებისათვის აფხაზური პასპორტების უკანონო გაცემაში (არჩევნების მანიპულირების მიზნით) და ადგილობრივი ბიზნესმენების უკმაყოფილებაშიც (რუსული ფინანსების არამიზნობრივი ხარჯვის გამო).

აფხაზეთი კვლავ რუსეთის კვაზი-კოლონიად რჩება და მას საქართველოსთვის ანტი-NATO-ური ფუნქცია ექნება. აფხაზეთი „საიმედო“ ბარიერი იქნება საქართველოს NATO-საკენ მიმავალ გზაზე, რადგან ალიანსში ტერიტორიული კონფლიქტების მქონე ქვეყნების გაწევრება გამორიცხულია, — ხაზგასმულია სტატიაში.

**სიმონ კილაძე.**
**„დი პრესსე“ (ავსტრია), 4 აგვისტო, 2014 წელი**



პატივგება

# „გზა ერისკაცობიდან ღვთისკაცობამდე“



**სულ ახლახან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატის, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანატისა და სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა, გამოსულიყო მაღალპოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი კრებული, საერთო სათაურით „შრომები“, რომელშიც სრულადაა წარმოდგენილი 2013 წლის 24 მაისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში დიდი ქართველი მეცნიერის, საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესის“ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის სინოდის მიერ წმინდანად შერაცხული წმინდა ექვთიმე ღვთისკაცისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციაზე — „გზა ერისკაცობიდან ღვთისკაცობამდე“ — მასალები და სამეცნიერო შრომები. კონფერენცია დიდი მამულიშვილის დაბადებიდან 150 წლისთავს მიეძღვნა.**




შესანიშნავი კრებული რამდენიმე თავს მოიცავს: **უკვდავების გზაზე; ექვთიმე თაყაიშვილი და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია, ექვთიმე თაყაიშვილი — შტრიხები ბიოგრაფიისათვის; ექვთიმე თაყაიშვილის არქეოლოგიური ძიებანი და მოგზაურობანი; ექვთიმე თაყაიშვილი — საქართველოს ფოლკლორისტიკა და ეთნოგრაფია; ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული კულტურული მემკვიდრეობის მოამაგენი და ექვთიმე თაყაიშვილი და საქართველოს საგანძური.**

„შრომების“ შემდგენლებმა და გამომცემელმა რედაქტორებმა ქალბატონებმა **ნანა ხაზარაძემ, დარეჯან ცუცქირიძემ,** ბატონმა **ბადრი ცხადაძემ** კრებულში 35 ქართველი მეცნიერის მონოგრაფია გააერთიანეს და სრულად წარმოგვიდგინეს დიდი მამულიშვილის, ქართული კულტურის მოამაგის ცხოვრებისეული გზა და შემოქმედება. მართალია, „შრომებში“ შესულ სხვადასხვა სტატიებში ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ზოგიერთი ეპიზოდი მეორდება, მაგრამ ძველი რომაელებისა არ იყოს — „გამეორება ცოდნის დედაა“.

**„გზა ლეხოურიდან (ამჟამინდელი ლიხაური) პეტერბურგამდე და პეტერბურგიდან თბილისამდე რთული და მრავალი წინააღმდეგობით აღსავსე იყო, მაგრამ სწორედ ამ გზაზე ჩაეყარა საფუძველი მის გასაოცარ სულიერებას. ოცდაოთხი წლის ექვთიმე თაყაიშვილი სრულად პასუხობდა დაბადებიდან შერქმეულ სახელს — „ექვთიმეს“, რაც „სულით მოზეიმესა“ და „სულით ახოვანს“ ნიშნავს“** — ამ სიტყვებით ასრულებს თავის შესანიშნავ წერილს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ამ შესანიშნავი კრებულის ერთ-ერთი რედაქტორთაგანი ქალბატონი **ნანა ხაზარაძე** და სწორედ ამ სიტყვებით შევყავართ იმ საოცარ სამყაროში სადაც, ყოველ ნაბიჯზე სირთულეებითა და წინააღმდეგობებით ჩახერგილ გზას, გოლგოთას გზას შედგომია დიდი ქართველი.

ჩემი თაობა ექვთიმე ღვთისკაცს დიდი მამულიშვილის რეზო თაბუკაშვილის უშესანიშნავესი დოკუმენტური ფილმი **„საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესით“** იცნობს. შემდგომ კი, როდესაც შესაძლელობა მოგვეცა, აკრძალული თემების და თავის დროზე დაუფასებელი მამულიშვლის საგმირო ცხოვრებას ფარდა ახდოდა, მის თანამედროვეთა მოგონებებს დავეწაფეთ. სწორედ ამგვარი მოგონებებით გამოვიდა კონფერენციაზე ჩვენი სასიქადულო მხცოვანი ისტორიკოსი, ქალბატონი **მარიკა ლორთქიფანიძე.**

„შრომებში“ ექვთიმე თაყაიშვილის შემოქმედებისა და ღვაწლის შესახებ ბევრ ისეთ ისტორიულ ფაქტს წაიკითხავთ, სრულად რომ არ იყო მეცნიერთა მიერ შესწავლილი. ბავშვობიდან ხეიბარმა მტკივანი ფეხით მეოცე საუკუნის დასაწყისში მოიარა საქართველოს თითქმის ყველა კუთხე-კუნჭული: კახეთი, სამეგრელო, სვანეთი, რაჭალეჩხუმი, ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, ქვემო ქართლი და შთამომავლობას შემოუნახა ფასდაუდებელი ეთნოგრაფიული, ფოლკლორული, არქეოლოგიური მასალა. დიდი ექვთიმე ხომ საქართველოში სამეცნიერო არქეოლოგიურ კვლევა-ძიების ფუძემდებლადაც ითვლება. **„ექვთიმე თაყაიშვილმა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში მრავალ არქეოლოგიურ ძეგლზე ჩაატარა სამუშაოები, მაგრამ მისი ამ კვლევა-ძიების გვირგვინი მაინც მსოფლიოში ცნობილი ე. წ. „ახალგორის განძის“ აღმოჩენა და გადარჩენაა, რომელიც შემდგომ ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნით დათარიღდა. სამწუხაროდ, სამარხეული ინვენტარი მაშინვე დაიტაცეს და მისი ნაწილი ჩარჩივაჭრების ხელში აღმოჩნდა, რომ არა ჩვენი ქვეყნის სასიქადულო შვილის, წმინდა ექვთიმეს დროული და ზეადამიანური ძალისხმევა, ახალგორის კომპლექსის სახით მხოლოდ საქართველო კი არა, მთელი კაცობრიობა დაკარგავდთა თავისი წარსულის უმნიშვნელოვანეს და ულამაზეს ფურცელს“,** — წერს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ბატონი **კონსტანტინე ფირცხელაური.**

დიდმა ერისშვილმა არა მარტო მოიძია, გამოიკვლია, აღწერა უძველესი ქართული საგანძური, ხელნაწერები თუ საეკლესიო ლიტერატურა, არამედ ერთად შეკრიბა, ძნელბედობის ჟამს თავისი სიცოცხლის ფასადაც დაიცვა როგორც გარეშე, ისე შინაური მტრებისგან და ვაიპატრიოტებისაგან და ბოლოს ქართველ ხალხს უკლებლივ დაუბრუნა.

ამგვარი მაგალითები, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გაწეული ტიტანური შრომისა და სამეცნიერო კვლევებისა მისი სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობა ემიგრაციაში, რომლის ყველა ეტაპი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი, მრავლადაა წარმოდგენილი კრებულში ბევრმა როდი იცის, რომ ემიგრაციაში ყოფნისას ექვთიმე თაყაიშვილის ძალისხმევით, მის მიერ მოძიებული სახსრების წყალობით 1932 წელს ბელგიაში ბრიუსელის უნივერსიტეტში, ფილოსოფიისა და ისტორიის ინსტიტუტში დაარსდა ქართული ენის კათედრა. ამან ბიძგი მისცა ევროპაში ქართული ენის სხვა კათედრების დაარსებას — გერმანიაში, ბერლინის უნივერსიტეტში; პოლონეთში, ვარშავის უნივერსიტეტში; იტალიაში, ნეაპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში; პარიზში დაარსდა „ქართული საარქეოლოგიო და საკულტურო მასალების გამოცემის ფონდი“; დაარსდა პარიზის წმ. ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებლური ეკლესია; ქართველ სტუდენტთა დახმარების კომიტეტი და სხვა.

„შრომების“გამოცემით საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა ფასდაუდებელი მამულიშვილური საქმე გააკეთა. ამით კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა იქითკენ, რომ უფრო მეტი იცოდეს შთამომავლობამ იმ ერისკაცის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, რომელმაც მთელი ცხოვრება ქართულ საქმეს მიუძღვნა.

**მამუკა ვაშაკიძე**

ქართველი „როკფელერები“

# ღარიბი საქართველოს მდიდარი შვილები

**საქართველო განსაკუთრებულად მდიდარი ადამიანების სიმრავლით არასოდეს გამოირჩეოდა — ამის საშუალებას არც ეკონომიკის განვითარება, არც ბაზრის მოცულობა და, ბოლოს და ბოლოს, არც პოლიტიკური ვითარება იძლეოდა. ამიტომ, მათი აბსოლუტური უმრავლესობა, ვისი შემოსავალიც მილიონებს ითვლის, საქართველოს ფარგლებს გარეთ, მეტწილად კი რუსეთში ცხოვრობს.**

**წარმოგიდგენთ 5 ყველაზე მდიდარ ქართველ მამაკაცს. ზოგიერთი მათგანის შესახებ ინტერნეტსივრცეში ინფორმაცია მოიძიება, ზოგზე კი მხოლოდ იმის გაგებაა შესაძლებელი, თუ რა რაოდენობის თანხას ფლობს.**

## თემურ სეფიაშვილი - 3.100.000.000



თემურ სეფიაშვილი, იგივე ტამირ საპირი, ერთ დროს საქართველოდან ემიგრირებული ებრაელია, რომელიც ამჟამად მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანებს შორისაა. მისი კომპანია მანჰეტენზე 2,5 მილიონ კვ/მ უძრავ ქონებას ფლობს.

საკმაოდ საინტერესო ცხოვრება აქვს, რომელიც რაღაცით ჰოლივუდური ფილმის სიუჟეტს წააგავს. ერთხელ რიგითი თბილისელი სტუდენტი ამერიკაში ბედის საძიებლად გაემგზავრა და იღბალი პირდაპირ თავში „მოხვდა“. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, თუმცა, ხუმრობაშიც ხომ არის სიმართლის მარცვალი.

საპირმა იცის ოთხი ენა, აქვს ჩვიდმეტსართულიანი სახლი მექსიკაში, თვითმფრინავი, რომელიც სირიის აწგარდაცვლილი პრეზიდენტისგან, ჰაფეზ ასადისგან შეიძინა და იახტა, რომელიც ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში. სხვათა შორის, მისი სახელი ბევრჯერ იყო გარეული სკანდალში, მაგრამ ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. ამბობენ, რომ საპირი არასდროს მალავს წარსულს და ღიმილით იხსენებს საბჭოთა დროს, იმას, თუ როგორ იშოვა პირველი ფული.

## თარიელ ვასაძე - 5.000.000.000



მომავალი ბიზნესმენი და დეპუტატი 1947 წლის 15 ოქტომბერს დაიბადა ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსაში. საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტი კიევში დაამთავრა და იქვე შეუდგა შრომით საქმიანობას. თავდაპირველად მლესავი იყო ავტომობილების სარემონტოში. შემდეგ ინჟინერი გახდა, უფროსი ოსტატი, ქარხნის ხელმძღვანელი, ტექნიკური მომსახურების სადგურის დირექტორი, 1983 წლიდან სათავეში ჩაუდგა „ავტოტექმომსახურებას“, რომლის საწარმოები საბოლოოდ შევიდა კონცერნში „უკრავტო“. ათი წელი იყო „უკრაინის საავტომობილო კორპორაციის“ პრეზიდენტი. თავისი კაპიტალით უკრაინის ყველაზე მდიდარ ადამიანებს შორის არის და ასევე ხშირად მოიხსენიებენ უკრაინის ყველაზე გავლენიან ადამიანებს შორისაც. 2012 წლის ნოემბრიდან უკრაინის უმაღლესი რადის დეპუტატია.

## დავით იაკობაშვილი - 2.700.000.000

დაიბადა 1957 წლის 2 მარტს, საქართველოში, ქართველი ებრაელების ოჯახში. დამთავრებული აქვს თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამრეწველო და სამოქალაქო მშენებელ-ინჟინრის სპეციალობით. დღეისათვის მას რამდენიმე გავლენიანი ბიზნეს ორგანიზაცია ეკუთვნის, რომელთაგან, თავის დროზე დიდი წარმატება რძის პროდუქტების კომპანიამ „ვიმ ვილ დანიმ“ მოუტანა.



ქართველ უმდიდრეს ქართველთა ხუთეულში შედიან **ნიკოლოზ გოგიტიძე,** რომლის ქონება ბოლო პერიოდის მონაცემების მიხედვით 4.000.000.000 დოლარს შეადგენს და რა თქმა უნდა, **ბიძინა ივანიშვილი.** ბიძინა ივანიშვილს ბიზნესიდან პოლიტიკაში გადასვლა საკმაოდ ძვირი დაუჯდა. Forbes-ის 2013 წლის მარტის მონაცემებით, ბიძინა ივანიშვილის ქონება 5.3 მილიარდ დოლარს შეადგენს.



ეს საერთო გასაჭირია!

# რა უშლის ხელს საქართველოში რელიგიური ტურიზმის განვითარებას?



**ჩვენს ქვეყანაში ტურიზმი ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად არის აღიარებული, თუმცა, აქაც არსებობს რამდენიმე საინტერესო მიმართულება, რომელთა შესახებაც საზოგადოება ნაკლებად არის ინფორმირებული, მაგალითად: რელიგიური და ინკლუზიური ტურიზმი. სპეციალისტების აზრით, ამ ხრივ ჩვენი ქვეყნის პოტენციალი საკმაოდ მაღალია, მართალია, ისრაელს, საბერძნეთს, ან თურქეთს ვერ შევედრებით, მაგრამ ამ ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში არის ადგილები, რომლებიც განსაკუთრებით საინტერესოა მართლმადიდებლური სარწმუნოების წარმომადგენლებისთვის. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2013 წელს საქართველოს პილიგრიმული მიზნებით 9 984-მდე ადამიანი ესტუმრა, რაც მთლიანად ვიზიტორთა რაოდენობის 0,2 პროცენტია. რაც შეეხება ინკლუზიურ ტურიზმს — მას ამ სფეროში მოკრძალებული წვლილი შეაქვს.**

**bpn.ge ამ საკითხთან დაკავშირებით ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეს მედეა ჯანიაშვილს ესაუბრა.**

**2013 წელს საქართველოს პილიგრიმული მიზნებით 9 984-მდე ადამიანი ესტუმრა, მარტო ბრიტანეთიდან 32 ეპისკოპოსი იყო ჩამოსული...**

— ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და რელიგიური წარსულისადმი უცხოელების დაინტერესება საკმაოდ მაღალია. ჩვენც ვმუშაობთ, რომ ეს დაინტერესება კიდევ უფრო გაიზარდოს. მიუხედავად იმისა, რომ უძველესი ძეგლები გვაქვს და აქ უამრავი სიწმინდეა დაცული, ამის თაობაზე ინფორმაცია მსოფლიოში ნაკლებად არის გავრცელებული. ამიტომაც გადავწყვიტეთ, შევქმნათ რელიგიური ტურიზმის კატალოგი, რომელშიც იქნება სრული ინფორმაცია როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ვიზიტორებისთვის. ამ კატალოგში არ იქნება მარტო ცნობები იმაზე, თუ რომელ ტაძარში რა სიწმინდე ინახება, ეს იქნება მრავალფეროვანი ინფორმაციის შემცველი კატალოგი, სადაც შევა მარშრუტები, რომელიც გაუმარტივებს საქმეს ჩვენს სტუმრებს. როგორც ვიცი, იგეგმება, რომ გრემთან და ნეკრესთან ახლოს გაკეთდეს სასტუმროები, სადაც იქ მისული მომლოცველები დაბინავდებიან. ამ საქმით თვით ამ ტაძრების ადმინისტრაციაა დაინტერესებული“.

ინკლუზიური ტურიზმის თაობაზე კი მედეა ჯანიაშვილმა განმარტა: „ამ მხრივაც ბევრი რამ უნდა გაკეთდეს. ინკლუზიური ტურიზმი საკმაოდ მაღალბიუჯეტიანი მიმართულებაა და მისი განვითარება განსაკუთრებით რთულია, რადგან შშმ პირებისათვის ჩვენს ქვეყანაში ბევრი რამ არის გასაკეთებელი — შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანმა უნდა შეძლოს თავისუფლად გადაადგილება, რასაც საგანგებო პირობების შექმნა სჭირდება. ჩვენთვის ინკლუზიური ტურიზმი ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ამიტომ, კახეთის რეგიონში ჩავატარეთ კვლევა და შევისწავლეთ იქაური მარშრუტები, რომლებიც შშმ პირებს გამოადგებათ. ეს მარშრუტები გაკეთდა სამ მუნიციპალიტეტში - თელავში, სიღნაღსა და ყვარელში. ხშირად შშმ პირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა არც ისე რთულია. არსებულის გადაკეთებაც შეიძლება და მშენებარე სასტუმროებმაც შეიძლება გაითვალისწინონ შენობებზე თუნდაც პანდუსების დამატება. ეს არ უკავშირდება რაღაც კოლოსალურ თანხებს. მართალია, შშმ პირების გადაადგილება ერთი ქვეყნიდან მეორეში რთულია, მაგრამ შიდა ბაზარიც ხომ უნდა გავითვალისწინოთ? დღეს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია სპეციალურად მუშაობს ამ მიმართულებით: ისინი მხოლოდ ინკლუზიურ ტურისტულ პაკეტებს ქმნიან, რომლებიც შშმ პირებისათვის არის განკუთვნილი“.

როგორც სამთო გამყოლთა ასოციაციის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა **ნიკა ერქომაიშვილმა** გვითხრა, საქართველოს ყველაფერი აქვს საიმისოდ, რომ რელიგიური საკითხებით დაინტერესებული ტურისტი მოიზიდოს:

— საქართველო ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული ქვეყანაა, რის გამოც აქ არა მარტო მართლმადიდებლები ჩამოდიან, არამედ სხვადასხვა კონფესიის მიმდევრებიც. შარშან, მაგალითად, 32 ეპისკოპოსი გვყავდა ჩამოყვანილი დიდი ბრიტანეთიდან. ჩვენ ძალიან დიდი განძი გვაქვს ქართული ეკლესია-მონასტრების სახით, ამიტომ, რელიგიური ტურიზმი ჩვენთან ბოლო წლებში თანდათან, მაგრამ მაინც ვითარდება. წელსაც ველოდებით ტურისტებს, რომლებიც სწორედ ჩვენი რელიგიური ღირსშესანიშნაობებით არიან დაინტერესებული. საქართველოში ჩამოსული სტუმრების 95 პროცენტი ჩვენს ისტორიულ დედაქალაქ მცხეთაში მიდის, მაგრამ არის ხალხი, ვისაც მთებში, მაგალითად, მყინვარწვერზე ასვლა და იქ არსებული ბეთლემის მონასტრის, ან სხვა ტაძრების ნახვა უფრო აინტერესებს. ერთი სიტყვით, საამისოდ დიდი პოტენციალი გვაქვს. რაც შეეხება ინკლუზიურ ტურიზმს, მისი განვითარება გაცილებით რთულია იმიტომ, რომ დღეს ჩვენს კურორტებზე არ არსებობს ინფრასტრუქტურა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ტურისტებს და მათ მოთხოვნებს შეესაბამება. რასაკვირველია, გამონაკლის შემთხვევებზე არ ვლაპარაკობ, მაგრამ **აუცილებლად უნდა გავიხსენო ფაქტი, რომელიც 1995 წელს მოხდა და გინესის რეკორდების წიგნშიც შევიდა: მაშინ, ჩვენი დახმარებით ხუთი სხვადასხვა ეროვნების შშმ პირი ავიდა მყინვარწვერზე. ხუთივე ინვალიდის ეტლში იჯდა, მათი სავარძლები თხილამურებზე იყო დამაგრებული, ხოლო თოკებს ჩვენ ვუმაგრებდით. მთაზე ასასვლელად ერთ თვეზე მეტი დაგვჭირდა, მაგრამ მათ ეს შეძლეს — დაბრკოლებების მიუხედავად, მაინც ავიდნენ მწვერვალზე**. როგორც ვიცი, გუდაურშიც არის სპეციალური ჯგუფები, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ერთიანდებიან და მათ თხილამურებზე ასრიალებენ. ამ ჯგუფებში არიან უსინათლოებიც და სხვა უნარს მოკლებული ადამიანებიც.

bpn.ge-თან საუბრისას, საქართველოს ტუროპერატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ ია თაბაგარმა კიდევ ერთ მტკივნეულ საკითხზე გაამახვილა ყურადღება:

**— საქართველოში მართლაც ძალიან ბევრი რამ არის სანახავი, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ კულტურული ტურების 80 პროცენტი ეკლესია-მონასტრების მონახულებასთან არის დაკავშირებული. სამწუხაროდ, ეკლესიის მუშაკებსა და ტურისტებს შორის კონფლიქტური სიტუაცია არც თუ იშვიათია. ძალიან ხშირად აქვს უხეშობას ადგილი ორივე მხრიდან: ხშირად ტაძარში დგანან ადამიანები, რომლებიც კიცხავენ იქ შემსვლელებს, ზოგჯერ კი სხვა რელიგიის წარმომადგენლებს ეკლესიაშიც არ უშვებენ. მაგალითად, ამასწინათ ერთი გერმანელი სტუმარი გარეთ გამოაძევეს... ასეთი რამ გაუგებარია ტურისტისთვის, რომელიც ეკლესია-მონასტრებს უყურებს, როგორც კულტურულ ფასეულობას, ამიტომ, როგორღაც შეთანხმება უნდა მოხდეს ტურისტულ სექტორსა და საპატრიარქოს შორის. ხომ შეიძლება ეკლესიის კარზე მათთვის გასაგები ენით ეწეროს იქ მოქცევის წესები? - ევროპელები ამ წესებს უეჭველად დაემორჩილებიან. თუ არადა, მსოფლიოში არის დახურული მონასტრები, სადაც სამოქალაქო პირები ვერ შედიან, აქაც ასე უნდა მოხდეს, გაურკვევლობას ასე სჯობია. ვიდრე ასეთი საკითხები არ მოგვარდება, შეიძლება ძალიან უსიამოვნო რამ მოხდეს და მსოფლიო საზოგადოებისგანაც ცუდი გამოხმაურება მივიღოთ. რაც შეეხება ინკლუზიურ ტურიზმს, ამ მიმართულების განვითარებასაც დიდი მონდომება სჭირდება. სამწუხაროდ, ჩვენს კურორტებზე ხშირად ჯანმრთელი ადამიანებისთვისაც კი არ არის კომფორტი, მით უმეტეს — შშმ პირისთვის. გერმანიაში, მაგალითად, ავტობუსის გაჩერებიდან დაწყებული, ყველაფერი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებზეა მორგებული. ჩვენთან კი, რა ხდება? — ზოგჯერ ოჯახი, სადაც შშმ პირი ცხოვრობს, საკმაოდ შეძლებულია, უნდათ, რომ ის სადმე წაიყვანონ, მაგრამ გასაქანი არა აქვთ. ელემენტარული პირობების არქონის გამო ეს ადამიანები სულ სახლში არიან ჩაკეტილები. თუ ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას ვაპირებთ, მგონი, ეს ადამიანებიც არ უნდა დავივიწყოთ.**

ხათუნა ჩიგოგიძე

წერილი რედაქციას

# შიშველი ხელებით ამოვსებული საფლავი

**იმ ტრაგიკული ომის ერთ საშინელ დღეს სამაჩაბლოს ქართველი მოსახლეობის ცხინვალის შეიარაღებული ფორმირებებისგან დაცვის მიზნით მოწყობილ დროებით საგუშაგოსთან ცხინვალის ტერიტორიიდან სნაიპერის მიერ გამოსროლილი ტყვიით განგმირეს სამხედრო აკადემიადამთავრებული უფროსი ლეიტენანტი, დედით ოსი, მამით ქართველი, მჭადიჯვარელი ვაჟკაცი, სრულიად უდანაშაულო თემურ არათანაშვილი.**

სამშობლოსთვის დაღუპულს სამუდამო სასუფევლისკენ ორი ბატალიონ ჯარისკაცებთან და დამწუხრებულ მჭადიჯვარის მოსახლეობასთან ერთად მიაცილებდა მთავარი ანგელოზის სამგლოვიარო დედო ზარი.

მწუხრის ზეწარი გადაეფარა ნაკერვავის და ქსნის ხეობების სოფლებს.

საფლავის მიწით ამოსავსებად ქართველმა ჯარისკაცებმა უარი თქვეს ნიჩბების გამოყენებაზე და შიშველი ხელებით აღებული მიწით ამოავსეს დაღუპულის საფლავი.

**რა სამწუხაროა, რომ თვეები თვეებს მისდევს, წლები — წლებს, მაგრამ მტრობასა და შუღლს ბოლო არ უჩანს.**

ძვირფასო ლიახვისპირელო მეზობლებო! დევნილ ქართველთა მძიმე მდგომარეობით გულშეძრული თვალცრემლიანი მოგმართავთ, ცნობილი არაგვის ხეობის დუშეთის რაიონის სოფელ მჭადიჯვრის მხცოვანი შვილი: გაკმაროთ სამაჩაბლოელ უდანაშაულო ქართველ დევნილებს თავს დამტყდარი უმძიმესი ხვედრი: — ახლობლების დახოცვა, საცხოვრებელი სახლების ნგრევა-გავერანება, იძულებით გადაადგილება...

ქართველებმა და ოსებმა უნდა აღვადგინოთ ძველი მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობები, დავეხმაროთ ერთმანეთს, ხელი შევუწყოთ დანგრეული სახლების აღდგენასა და ხელახლა დაფუძნებას.

იმასაც გაცნობებთ, ბუნების მიერ ნაბოძები სიმდიდრეები, ტყე, წყალი, წიაღისეული, ერთეულების კი არა, ყველა მცხოვრების თანაბარ კუთვნილებას წარმოადგენს, ჩემო კეთილო ლიახვისპირელო მეზობლებო, ნუ შევუზღუდავთ ქართველებს ზაფხულში სარწყავი და სასმელი წყლის გამოყენებას, ტყეში მცენარეული რესურსების მოპოვების უფლებას, ზამთარში ტყეში გადაადგილებას.

დღევანდელი მდგომარეობა მახსენებს ყრმობისას წაკითხულ ზღაპარს ხალხისთვის წყლის შემწყვეტელ გველეშაპზე.

კარგად გავითვითცნობიეროთ, ყველა ეს ბუნებრივი სიმდიდრე ხომ ჩვენს წინაპრებს ეკუთვნოდათ წარსულში, რომლებმაც მეგობრულად გაიყვეს.

გაწეული სიკეთის გრძნობას, სიყვარულით ვუპასუხოთ, ხელი შევუწყოთ დანგრეული სახლების აღდგენასა და ახლად დაფუძნებას.

სიკეთე არასოდეს იკარგება, ყური მივაპყროთ ჩვენი წინაპრების კარგად ნათქვამს:

**„სიკეთის ნერგი იხარებს**
**დარგო თუნდ სიპსა ქვაზედა“.**

კარგი იქნება, თუ ლიახვისპირელები ამ მხრივ მიბაძავენ მჭადიჯვრის საკრებულოს (თემის) სოფლებში მცხოვრები ქართველებისა და ოსი ეროვნების წარმომადგენელთა ურთიერთობებს.

11 დასახლებული პუნქტიდან 6 ოსური ეროვნების ადამიანებით არის წარმოდგენილი, 3 — ქართული, ხოლო 2 — ოსურ-ქართული.

ოდითგანვე აქ დამყარებული იყო არნახული ძმური, მეგობრული, ნათესაური, კეთილმეზობლური ურთიერთობები და საყოველთაოდ მიღებული კაცთმოყვარეობის მაღალი გრძნობები.

ორივე ეროვნების ახალგაზრდების შეუღლებით მრავალი ოსურ-ქართული ოჯახია დაფუძნებული.

ამ სოფლების ოჯახები რომ შემოიაროთ, ეროვნებათშორის სიძულვილის მცირეოდენ ნასახსაც ვერ ნახავთ.

დროულად მივბაძოთ მათ, მტრობა და შუღლი გულიდან ამოვიგდოთ.

გზა დავუთმოთ ურთიერთსიყვარულს და პატივისცემას, საყოველთაოდ მიღებულ მაღალზნეობრივ გრძნობებს.

ამ მხრივ ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდება, თუ ცხინვალში გამოცხადდება ლოზუნგი-მოწოდება: **„დავეხმაროთ დევნილ ქართველებს საცხოვრებელი სახლების აღდგენასა და დაფუძნებაში“.**

მინდა, ვირწმუნო, რომ ამ კეთილწამოწყებას გულმხურვალედ გამოეხმაურება მოსახლეობა, დაწესებულებები, ბიზნესმენები, ახალგაზრდები, რითაც შერიგებისკენ გადაიდგმება საშვილიშვილო ნაბიჯი.

ვფიქრობ, ცხინვალში გამომავალი ჟურნალ-გაზეთები არ დაიშურებენ თავიანთ ძალისხმევას შესაბამისი სტატიების გამოსაქვეყნებლად.

ყველამ კარგად გავითავისოთ, „გათიშე და იბატონეს“ ისტორიულად ცნობილი მეთოდი, მიზანმიმართულად რომ გამოიყენეს ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა.

სადღეისოდ მთავარი ამოცანაა, დროულად და საფუძვლიანად გავაანალიზოთ, „უკუღმა ხვნა-ფარცხვის“ შედეგები და დავსახოთ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის ღონისძიებები.

მიზანშეწონილად მივიჩევ, შეიქმნას ოსურ და ქართულ საქმის მცოდნე მოაზროვნე ავტორიტეტული ხალხის წარმომადგენელთა საკრებულო, რომელიც დღენიადაგ საქმიანად იმსჯელებს ახლო წარსულში მომხდარ მოვლენებსა და დღევანდელ მდგომარეობაზე, შეიმუშავებს სამომავლო ამოცანებსა და გასატარებელ ღონისძიებებს.

**ვალოდია დინუაშვილი,**
**დუშეთის რაიონი, სოფელი მჭადიჯვარი.**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთი, საქართველო, უკრაინა – შეიძლებოდა ტრაგედიის თავიდან აცილება?

### ქართველი პოლიტოლოგები დასავლეთის რეაქციის შესახებ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით უკრაინის კონფლიქტის კონტექსტში

**რუსეთ-საქართველოს ომიდან ექვსი წლის შემდეგ ანალიტიკოსები საქართველოში სულ უფრო ხშირად საუბრობენ იმის შესახებ, რომ დასავლეთის პასიურობამ 2008 წელს საქართველოს ტერიტორიების — აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის რუსეთის მიერ ოკუპაციასთან დაკავშირებით, ნაწილობრივ ხელი შეუწყოს მოსკოვის მოქმედებას 2014 წელს.**

შეგახსენებთ, რომ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანი ომის შედეგად რუსეთმა ორი ქართული რეგიონის — აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა და ამ ტერიტორიებზე თავის სამხედრო ბაზებში დამატებითი შეიარაღებული ძალები შეიყვანა. მსოფლიოს ყველა ქვეყანა — რუსეთის, ვენესუელის, ნიკარაგუას, ნაურუსა და ტუვალოს გარდა — ამ რეგიონებს აღიარებენ რუსეთის მიერ ოკუპირებულად.

ელენე ხოშტარია, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ დამფუძნებელი და სახელმწიფო მინისტრის ყოფილი მოადგილე ევროპასა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, მიხეილ სააკაშვილის მთავრობის დროს, აღნიშნავს, რომ, ერთი მხრივ, საქართველომ შეძლო, შეენარჩუნებინა სახელმწიფოებრიობა 2008 წელს საერთაშორისო ჩართვის წყალობით. ამავე დროს გამოვიდა ისე, რომ ომის შედეგად რუსეთის რეპუტაცია არსებითად არ დაზარალებულა — პირიქით, ამტკიცებს ხოშტარია, 2008 წლის აგვისტოს შემდეგ, დასავლეთი მოულოდნელად ალაპარაკდა რუსეთის დიალოგში ჩართვის აუცილებლობის შესახებ — „ქვეყნისა, რომელმაც საქართველოს ტერიტორიის ოკუპირებით დაარღვია საერთაშორისო უფლება“.

**„რეალურად, 2008 წელს საქართველოში მოხდა პრეცედენტი, რომელიც განმეორდა დღეს უკრაინაში. მაშინ რომ რუსეთისგან მოეთხოვათ პასუხი საერთშაორისო სამართლის დარღვევისათვის, იგი უბრალოდ ვერ შეძლებდა, გაემეორებინა ანალოგიური სცენარი უკრაინაში“,** — განაცხადა ხოშტარიამ „ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

კერძოდ, მისი სიტყვებით, უფრო პრაგმატული იქნებოდა, მიეღოთ ზემოქმედების ზომები რუსეთთან დაკავშირებით 2008 წელს. ექსპერტი აღნიშნავს, რომ დასავლეთს უნდა ეიძულებინა მოსკოვი, თუნდაც, შეესრულებინა თავის მიერვე ხელმოწერილი შეთანხმების პირობები ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, ესე იგი, გაეადვილებინათ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში საერთაშორისო მეთვალყურეების დაშვება, გაეყვანა თავისი ჯარები იმ პოზიციებზე, რომლებიც ეკავა საქართველოში 2008 წლის აგვისტომდე.

კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტის თავმჯდომარე გია ნოდია ასევე მიიჩნევს, რომ თავის დროზე დასავლეთმა ვერ შეძლო, ადეკვატურად შეეფასებინა რუსეთის საქართველოსთან ომის შედეგები. პოლიტოლოგი შეგვახსენებს, რომ დასავლეთის პრესაში მაშინ ნაწილობრივ იყო აზრი: მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოს ტრაგედიაში მთავარი დამნაშავე იყო რუსეთი, აღინიშნებოდა, რომ კონფლიქტის ესკალაციას ასევე ხელი შეუწყო „თბილისის ნაჩქარევმა და რადიკალურმა მოქმედებებმა“.

შესაბამისად, მიაჩნია ექსპერტს, დასავლეთის რეაქცია მომხდარზე იქნებოდა „მსუბუქი“ მოსკოვთან დამოკიდებულებაში — საკითხი დაისმებოდა არა რუსეთის დასჯაზე ოკუპაციისათვის, არამედ მისი ჩართვის შესახებ საერთო პროექტებში. ამავე დროს, აღნიშნავს პოლიტოლოგი 2008 წლის აგვისტოს მოვლენები დაემთხვა ეკონომიკურ კრიზისს, როდესაც მსოფლიოს ყურადღება ჩაფლული იყო ამ პრობლემის სიღრმეში. უფრო მეტიც, ამ პერიოდში ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის შეცვლა. ქართველი პოლიტოლოგის აზრით, თეთრი სახლის ახალმა ხელმძღვანელმა მოახდინა თავისი „დისტანცირება“ წინა ხელისუფლების პოლიტიკისაგან. გია ნოდია იხსენებს, რომ იმ დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში გაისმოდა ხმები იმასთან დაკავშირებით, რომ ჯორჯ ბუშ-უმცროსის ადმინისტრაციამ იმედი ჩაუსახა სააკაშვილის მთავრობას, რამაც უბიძგა საქართველოს პრეზიდენტს კონფლიქტისკენ რუსეთთან. ექვსი წლის შემდეგ, მას შემდეგ, რაც მოხდა უკრაინის მოვლენები, ამბობს გია ნოდია, — ამერიკის შეერთებულ შტატებში და მთლიანად დასავლეთში „უკვე აღარავინ უარყოფს“ ამ მსჯელობათა შეცდომას.

## შეიძლებოდა თუ არა ომის თავიდან აცილება?

**რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს ომს, ელენე ხოშტარია და გია ნოდია აღნიშნავენ, რომ მისი თავიდან აცილება შეიძლებოდა. ხოშტარიას სიტყვებით, დღევანდელი მოვლენები უკრაინაში კიდევ უფრო მკაფიოდ გვიჩვენებენ, რომ 2008 წლის ომი გამოწვეული იყო არა იმ პერიოდში შექმნილი ვითარებებით, არამედ „მოსკოვის სტრატეგიული გადაწყვეტილებით უჩვენოს დასავლეთს, რომ ამ რეგიონში ექსკლუზიური უფლებები აქვს რუსეთს“. ექსპერტმა შეგვახსენა ვლადიმერ პუტინის განცხადება, რომელიც მან გააკეთა მისი პრეზიდენტობის პირველ დღეებში, რომ „საბჭოთა კავშირის დაშლა იყო მეოცე საუკუნის უდიდესი პოლიტიკური კატასტროფა“. ქალბატონ ხოშტარიას სიტყვებით, პუტინის ამ პოლიტიკის გაგრძელება — საქართველოს შემდეგ — არის დღევანდელი მოვლენები უკრაინაში.**

როდესაც საუბრობს ქართული მხარის მიერ 2008 წელს დაშვებულ შეცდომებზე, ხოშტარიას მიაჩნია, რომ ჯერ კიდევ აგვისტომდე, როდესაც დაიწყო ქართული სოფლების მისამართით ინტენსიური სროლები ცხინვალის მხრიდან და როდესაც დაფიქსირდა იქნა საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევები რუსეთის მიერ, თბილისს უნდა მოეხდინა საერთაშორისო გაერთიანების მობილიზაცია. მისი სიტყვებით, საქართველო უნდა გამოსულიყო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან, რაც, იურიდიული თვალსაზრისით, შექმნიდა „სრულიად სხვა სიტუაციას“.

გია ნოდია თავის მხრივ, მიიჩნევს, რომ კრემლში თავდაპირველად მიიღეს გადაწყვეტილება „უფრო მყარად დამკვიდრებულიყვნენ საქართველოს ტერიტორიებზე“. პოლიტოლოგი ამბობს, რომ, როგორიც უნდა ყოფილიყო მაშინ თბილისის მოქმედება, ისევე როგორც დღეს უკრაინაში, რუსეთი სულ ერთია, მიაღწევდა დასახულ მაზანს. ნოდია აღნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლებას ჰქონდა მორალური ვალდებულება, დაეცვა ანკლავი ცხინვალის რეგიონში, სადაც ეთნიკური ქართველები არიან დასახლებულები, თუმცა, მას მაინც ეჭვი ეპარება, რამდენად მომგებიანი იყო საქართველოსთვის საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების მოქმედებები მსოფლიო გაერთიანების თვალში.

## სად არის გამოსავალი?

**საქართველოს პერსპექტივებთან დაკავშირებით თავისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გამო, ელენე ხოშტარია მიიჩნევს, რომ, მართალია, გარანტიები არ არსებობს, მიუხედავად ამისა, თბილისმა აუცილებლად უნდა „ააგოს სწორი პოლიტიკა“, რომელიც, უკიდურეს შემთხვევაში, დაგვეხმარება, „დავიახლოვოთ მიზნები“.**

პოლიტოლოგი გამოყოფილ რეგიონებთან დაკავშირებით პრობლემის ორ დონეს გამოყოფს. პირველი, მისი აზრით, ესაა ომი რუსეთთან, რომელიც, როგორც ექსპერტი ამტკიცებს, იყენებს ამ ტერიტორიებს „რეგიონში ექსკლუზიური გავლენის სტრატეგიული მიზნების აღდგენისათვის“. მეორე დონე, ამბობს ხოშტარია, ესაა რეალური პრობლემები ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის. შესაბამისად, მიაჩნია პოლიტოლოგს თბილისმა უნდა იმუშაოს ამ ორი მიმართულებით.

**„გასაგებია, რომ რუსეთის სტრატეგიულ მიზნებთან დაკავშირებით საქართველო ამოცანებს თავს ვერ გაართმევს. ამიტომ ჩვენი მთავარი ამოცანა — ესაა საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო მხარდაჭერა. უნდა ვიმუშაოთ მეთოდურად, რომ გაიზარდოს საერთაშორისო ზემოქმედება რუსეთზე“,** — დარწმუნებულია ხოშტარია.

მისი სიტყვებით, ეს ყოველთვის არ გამოდის, ვინაიდან საერთაშორისო გაერთიანება პერიოდულად გადაერთვება ხოლმე სხვა პრობლემებზე, მაგრამ ისეთი სიტუაციები, როგორიცაა დღეს უკრაინაში, გარდა დიდი ტრაგედიისა, ასევე ქმნის შესაძლებლობას რუსეთზე ზემოქმედებისათვის, ვინაიდან დღეს, ამტკიცებს პოლიტოლოგი მთელი მსოფლიოს ყურადღება სწორედ უკრაინის მოვლენებზეა კონცენტრირებული.

გია ნოდია მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე საქართველოს ტერიტორიული პრობლემის გადაწყვეტის პერსპექტივა რუსეთთან დიალოგის გზით არარეალურია, მიუხედავად მოჩვენებითი დათბობისა ამ ქვეყნებს შორის 2012 წელს ხელისუფლების შეცვლის შემდეგ.

რაც შეეხება ქართველების, აფხაზებისა და ოსების ურთიერთობებს, ელენე ხოშტარია მიიჩნევს, რომ პრობლემა მწვავდება იმით, რომ რუსეთი „არ იძლევა საშუალებას განხორციელდეს ნდობის რეალური ზომები“ ამ ხალხებს შორის.

Voice of America

## დედამიწის ზურგზე



### ლუგანსკი ჰუმანიტარული კატასტროფის ზღვარზეა. უკრაინელი სამხედროები ქალაქელებს მოუწოდებენ, დატოვონ საბრძოლო მოქმედებათა ზონა

**თვითმხილველების სიტყვებით, ქალაქი პრაქტიკულად დაცარიელდა: ხალხი გარბის იქიდან, ტოვებს ქონებას, რომ სიცოცხლე გადაირჩინონ. ისინი, ვინც დარჩა, კრიტიკულ სიტუაციაში არიან: არაა ელექტრობა, სატელეფონო კავშირი, არის პრობლემები წყლითა და საკვებით მომარაგებასთან დაკავშირებით. მთავრდება წამლები, ექიმებს არ შეუძლიათ, დაეხმარონ დაჭრილებს.**

### ერთბაშად ხუთი ციკლონი წყნარ და ატლანტიკის ოკეანეში ძალას იკრებს, ემუქრება ჰავაის, იაპონიასა და სამხრეთ კორეას



**იაპონიას, რომელმაც ამ დღეებში გადაიტანა დიდი წვიმები და ნაკრის შტორმი, ელოდება ახალი გამოცდა — ტაიფუნი ჰალონგი, რომელმაც მეხუთე კატეგორიას მიაღწია. ორი ციკლონი ისელი და ჰულიო მიდიან ჰავაის კუნძულებისაკენ, რომლებსაც ჩვეულებრივად გრიგალები გვერდს უვლიან. გვერდით ძალას იკრებს ტროპიკული დეპრესია ჟენევიევა. მხოლოდ გრიგალი ბერტა გადაუვლის ატლანტიკას, არავის ზიანს არ მიაყენებს.**

### იაპონიის მთავრობამ რუსეთთან დაკავშირებით დამატებითი სანქციების შემოღება მოიწონა



**გადაწყვეტილება მიიღეს იაპონიის მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე პრემიერ-მინისტრ სინძო აბეს მეთაურობით, ამჟამინდელი სანქციები ითვალისწინებენ იმ ფიზიკური და იურიდიული პირების საბანკო ანგარიშების გაყინვას, რომლებიც, ტოკიოს აზრით, „მონაწილეობას ღებულობდნენ სიტუაციის დესტაბილიზაციაში უკრაინაში და რუსეთის მიერ ყირიმის ანექსირებაში“.**

### ისრაელს თავისი ჯარები ღაზის სექტორიდან გამოჰყავს

**სახმელეთო ჯარების გამოყვანა ხდება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მორიგი რეჟიმის ძალაში შესვლის ფონზე. ისრაელის არმიამ განაცხადა, რომ სექტორში გაანადგურა ტერორისტების ყველა ცნობილი გვირაბი და განზრახული აქვს, მოახდინოს გადადისლოცირება ანკლავის საზღვრებს მიღმა.**



# მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

**საქართველო**

## შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე პროექტი (SLRP III)

**პროექტის №:** P144048
**დავალების სახელწოდება: გონიოს ხიდის დეტალური პროექტის მომზადება**
**კონტრაქტი/RFP №:** SLRPIII/CS/QCBS-03
**საიდენტიფიკაციო №:** SLRPIII PP, პუნქტი №29

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე პროექტისთვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო ფირმებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **„გონიოს ხიდის დეტალური პროექტის მომზადება".**

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ მომსახურების გასაწევად საჭირო კვალიფიკაციისა და შესაბამისი გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. მოკლე სიაში გასასვლელად საჭიროა შემდეგი კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

- ანალოგიური გამოცდილება ბოლო 7 წლის მანძილზე (ანუ 2007 წლის იანვრიდან).
- ზოგადი გამოცდილება.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუცქიისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით შეუძლიათ გაერთაინდნენ სხვა ფირმებთან ერთობლივი საწარმოს ან ქვე-კონსულტანტის სახით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას №1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე:

http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება "კონსულტანტის სახელმძღვანელო პრინციპებში" მოცემული კვალიფიკაციის და ღირებულების მიხედვით შერჩევის მეთოდის თანახმად.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო საათებში 09:00-დან 17:00 საათამდე.

ინტერესის გამოხატვა წერილობითი სახით წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე (პირადად, ფოსტის, ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით) არაუგვიანეს **2014 წლის 20 აგვისტოს 17:00 საათისა.**

სახელი: ვახტანგ რაზმაძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი

მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო
ტელ: +995 322 37-05-08 დამ. 218
ფაქსი: +995 322 31-30-34
ელ. ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

**Georgia**
**Third Secondary and Local Roads Project (SLRPIII)**
**Project No. P144048**
**Assignment Title: Preparation of Detailed Design for Gonio Bridge**
**Contract/RFP No: SLRPIII/CS/QCBS-03**
**Reference No. SLRPIII PP, Item No.29"**

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the Third Secondary and Local Roads Project and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consulting firms (Consultants) to express their interest in providing the following services: **"Preparation of Detailed Design for Gonio Bridge".**

Interested Consultants should provide information demonstrating that they have the required qualifications and relevant experience to perform the Services. The shortlisting criteria are:

Similar experience within the last 7 years (i.e. since January 2007).
General experience.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may associate with other firms in the form of a joint venture or a sub-consultancy to enhance their qualifications. Please note that a form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Information on project related experience and assignments conducted should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on w on the following link:

http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

A Consultant will be selected in accordance with the Quality- and Cost - Based Selection method set out in the Consultant's Guidelines.

Further information can be obtained at the address below during office hours from 09:00 to 17:00.

Expressions of interest must be delivered in a written form to the address below (in person, or by mail, or by fax, or by e-mail) by **August 20, 2014, 17:00 hours**.

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Department of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Tel: +995-322-37-05-08 ext. 218
Fax: +995-322-31-30-34
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

## ალიანჩალიანი

### ბერლინში აფხაზური დღეები გაიმართა

გერმანიის ფედერაციაში საქართველოს საელჩოს ინიციატივით გამართული ღონისძიების მთავარი სტუმარი ჩრდილების თეატრი „ბუდრუგანა გაგრა" იყო.

ღონისძიებას ბერლინში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი, ქართული დიასპორის წარმომადგენლები, მათ შორის, ბერლინში მცხოვრები აფხაზებიც ესწრებოდნენ.

საღამო ქართული კულტურის დღეების ფარგლებში გაიმართა. ქართული კულტურის დღეები ბერლინში საზეიმოდ 31 ივლისს გაიხსნა და ორი კვირის განმავლობაში გაგრძელდება.

### სერჟანტთა მომზადების ცენტრში სამეთაურო-საშტაბო სასწავლო კურსები დაიწყო

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, მომავალი თვრამეტი კვირის განმავლობაში ათეულის მეთაურის კურსის 103 მსმენელი გადამზადებას ორ ფაზად გაივლის. პირველი ეტაპი შვიდი კვირის განმავლობაში გაგრძელდება. მეორე ფაზა კი თერთმეტ კვირას გასტანს და მსმენელები ათეულის დონეზე ქვეითთა სპეციალობებს დაეუფლებიან. კურსზე მოსახვედრად, წელს სხვა გამოცდებთან ერთად მსმენელებს ფსიქოლოგიური ტესტის ჩაბარებაც მოუწიათ.

სერჟანტთა სამეთაურო-საშტაბო კურსს 33 მსმენელი გაივლის. გადამზადება 15 კვირის განმავლობაში გაგრძელდება და მსმენელები ისეთ საკითხებს გაივლიან, როგორიცაა ასეულის და ბატალიონის შტაბის სერჟანტების რანგში ოპერირება, საბრძოლო მომზადების ორგანიზება და სამხედრო გადაწყვეტილების მიღების პროცესი. გარდა ამისა, სერჟანტები ლიდერობის უნარ-ჩვევებსა და ქვედანაყოფის მართვის პროცედურებსაც დაეუფლებიან.

ინტერპრესი

კალათბურთი

# როდემდე გვიშველიან მსაჯები?



**გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწიაო, ისეა საქართველოს ეროვნული ნაკრების საქმე. დიახ, ჯერ ტრავმირებული ჰიკმანის, მარკოიშვილისა და შერმადინის დაკარგვა ვერ მოგვინელებია, რომ სათუო გახდა დამდეგი „ევრო-2015“-ის საკვალიფიკაციო რაუნდში „ჯვაროსანთა“ კიდევ ერთი ლიდერის ვიქტორ სანიკიძის თამაში.** — ხვალ სურათს გადამიღებენ ძველ იარაზე და მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვევა, დამრთავენ თუ არა ექიმები სარბიელზე გამოსვლის ნებასო — მითხრა თბილისის თასის გათამაშების ფინალის შემდეგ ყაზანის „უნიქსის“ ახალწვეულმა.



რაც შეეხება თვით დედაქალაქის სპორტის სასახლეში დასრულებული ოთხთა ტურნირის დასკვნით მატჩს, ზაზა ფაჩულიას, გიორგი ცინცაძისა და, განსაკუთრებით, თორნიკე შენგელიას (21 ქულა) ინდივიდუალური ოსტატობა საკმარისი აღმოჩნდა ბელარუსთა დასამარცხებლად — 76:66 და მთავარი პრიზის მოსაპოვებლად, თუმცა ძნელი სათქმელია, რამდენად მზად არის სრულფასოვან შემსრულებელთა შეზღუდული კონტინგენტით დარჩენილი ჩვენი გუნდი სეზონის უმთავრესი გამოცდის წარმატებით ჩასაბარებლად, მით უმეტეს მაშინ, როცა ოფიციალურ შეხვედრებში თანამემამულე მსაჯები ველარ დაგვეხმარებიან.

**ვიტალი ჯაფარიძე**

**მინაწერი: მსაჯობაზე შემთხვევით როდი ვამახვილებ ყურადღებას — თუ წინა დღით ინგლისელებთან ბრძოლაში ზაზა მაჩალაძემ გვიხსნა, ამჯერად „სოლო“ მაკა კუპატაძემ შეასრულა (სხვათა შორის, ორივენი ფიბა-ს არბიტრები არიან და ჩვენს ქვეყანას უცხოეთში წარმოადგენენ).**

**ისე, მაინცდამაინც, არც გაემტყუნება სასტვენიან მანდილოსანს — საპატიო სტუმართა ლოჟას ხომ ბატონი დავით ნარმანია ამშვენებდა, რომლისთვისაც ახალ ამპლუაში გამარჯვება მუნდირის ღირსების დაცვის ტოლფასი იყო.**

**ვ. ჯ.**

ჭადრაკი

# ქალები — სრული სვლით!

**ტრომსოში მიმდინარე მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა საქართველოს ქალთა ნაკრებმა.** მე-3 ტურში ჩვენმა მანდილოსნებმა იტალიის გუნდი დაამარცხეს 3.5:0.5: ნანა ძაგნიძე-ოლგა ზიმინა 1:0, მარინა ბრუნელო-ბელა ხოტენაშვილი 0:1, სალომე მელია-ელენა სედინა 1:0, თეა გუცი-ნინო ბაციაშვილი 0.5:0.5. ფავორიტთა მე-3 ტურის დანარჩენი შეხვედრები: ასე დასრულდა: აშშ-ჩინეთი 1:3, ნორვეგია-უნგრეთი 1:3, რუსეთი-საფრანგეთი 2,5:1,5, სომხეთი-ვიეტნამი 3:1, რუმინეთი-ინდონეზია 1,5:2,5, გერმანია-არგენტინა 3:1, ყაზახეთი-ინდოეთი 2:2, ბელარუსი-ჰოლანდია 1.5:2.5, თურქეთი-ბულგარეთი 2:2, ესპანეთი-უკრაინა 2:2, პოლონეთი-ფილიპინები 2:2. სამი ტურის შემდეგ 6-6 ქულით 12 გუნდი დაწინაურდა, მათ შორის — საქართველო.

ჩვენი ქვეყნის ვაჟთა ნაკრები მე-3 ტურში თურქეთს დაუზავდა 2:2 ყაიმზე შეთანხმდნენ: დრაგან სოლაკი-ბაადურ ჯობავა, მიხეილ მჭედლიშვილი-ემრე ქენი, მუსტაფა ილმაზი-ლევან ფანცულაია, კონსტანტინე შანავა-ალექსანდრ იპატოვი. სომხეთი-საფრანგეთი 1,5:2,5, აშშ-ჰოლანდია 1,5:2:5, ნორვეგია (1)-ჩერნოგორია 3:1, გერმანია-ინგლისი 2:2, პოლონეთი-კუბა 2:2, იტალია-ინდოეთი 2:2, მაკედონია-რუსეთი 0:4, უნგრეთი-ჩინეთი 1,5:2,5, აზერბაიჯანი-ხორვატეთი 2,5:1,5, უკრაინა-ფილიპინები 3:1.



**სამი ტურის შემდეგ 6-6 ქულა 11-მა გუნდმა მოაგროვა. საქართველოს 5 ქულა აქვს.**

**ლექსო ცინცაძე**

ჭიდაობა

# ახალგაზრდების გზა ზაგრებში მიდის



**გუშინ ზაგრებში (ხორვატეთი) ახალგაზრდა ფალავანთა მსოფლიოს პირველობა დაიწყო. შეჯიბრებაში საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები ასეთი შემადგენლობით გამოვლენ:** ალექსანდრე კილაძე (50), გიზო მელაძე (55), მურად მიქელაძე (60), შმაგი ბოლქვაძე (66), გელა ბოლქვაძე (74), ლაშა გობაძე (84), კუკური კირცხალია (96) და ბექა კანდელაკი (120). წლეულს ევროპის პირველობაზე გელა ბოლქვაძემ და კანდელაკმა ჩემპიონობა მოიპოვეს, ხოლო მელაძეს, შმაგი ბოლქვაძეს, გობაძესა და კირცხალიას „ბრინჯაო“ ერგოთ.

თავისუფალი სტილით ჭიდაობაში ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ: ალექსანდრე კილაძე (50), გიორგი ლეჟავა (55), გიორგი ბრეგაძე (60), ომარ გურჯიძე (66), ტარზან მაისურაძე (74), გიორგი ჩხარტიშვილი (84), ნოდარ კურტანიძე (96) და გენო პეტრიაშვილი (120).

**ლაშა დიდია**

ჩოგბურთი

# ქალთა შვიდეული განახლებული რეიტინგით

**WTA-ს განახლებული რეიტინგით ქალთა საერთაშორისო კლასიფიკაციაში შვიდი ქართველის მონაცემები აღინუსხა. წინა კვირის შედეგების გათვალისწინებით ხუთი საფეხურით ჩამოქვეითდა სოფიო შაფათავა, რომელიც 291 ქულით 195-ე ადგილზეა.** დანარჩენ ჩვენებურთა მაჩვენებლები ასეთია: 339 (335). ეკატერინე გორგოძე (118), 412 (413). ოქსანა კალაშნიკოვა (86), 497 (485). სოფიო ქვაცაბაია (62), 630 (630). მარგალიტა ჩახნაშვილი-რანცინგერი (38), 856 (860). მარიამ ბოლქვაძე (16), 1260 (1258). თამარ ჭალაგანიძე (3).



**წყვილები.** 63 (63). კალაშნიკოვა (1287), 177 (176). შაფათავა (370), 369 (372). გორგოძე (138), 435 (436). ქვაცაბაია (109), 745 (744). ჩახნაშვილი-რანცინგერი (33), 966 (962). ბოლქვაძე (18), 1187 (1194). ჭალაგანიძე (8).

ქართველ ჩოგბურთელ ქალ-ვაჟთა უმეტესობა ამჟამად თელავში იმყოფება და მეორე საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 10.000-10.000 დოლარი) მონაწილეობს. საკვალიფიკაციო ეტაპზე მასპინძლებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს — ძირითად ბადეში მხოლოდ რვა ჩვენებური ითამაშებს. ისინი ასე დაუწყვილდნენ მეტოქეებს: **ქალები.** მარიამ ბოლქვაძე-იულია კალაბინა (რუსეთი), თამარ კუტუბიძე-კრისტინა მოროი (რუმინეთი), თამარ ჭალაგანიძე-სარა სტერენბახი (ისრაელი), ლატავრა ანდრიაშვილი-კატერინა ლიმარი (უკრაინა). **ვაჟები.** ალექსანდრე მეტრეველი — მიხეილ ავეტისიანი (სომხეთი), გიორგი ცივაძე — სურენ ვართანიანი (სომხეთი), ალექსანდრე ბაკში — დანიილ მედვედევი (რუსეთი) და გიორგი ჯავახიშვილი - ლუკა მარგაროლი (შვეიცარია).

**გივი გაგუა**

კრიმინალი

# ხავიერ ძანეტი სამშობლოში გაძარცვეს

**როგორც ჩანს, ყაჩაღები და მძარცველები ყველგან ერთნაირად უსამართლონი და კაი ხალხის ვერდამფასებლები არიან, თორემ დღისით, მზისით, ბუენოს აირესში ხავიერ ძანეტის გაძარცვა იქნებოდა? იმ ხავიერ ძანეტის, რომელიც სიცოცხლეშივე ლეგენდარულ კაცადაა ქცეული.**

მას შემდეგ, რაც ხავიერ ძანეტიმ პროფესიონალი ფეხბურთელის კარიერა 41 წლის ასაკში დაასრულა, მილანის „ინტერის“ ერთ-ერთი დირექტორის პოსტზე შეუდგა მუშაობას და თავისუფალი დროც თავზე საყრელად გაუჩნდა. ჰოდა, ადგა ეს ჩვენი ძანეტიც და თავისუფალ დღეებში არგენტინაში ჩავიდა მშობლების სანახავად.

ბუენოს აირესის ერთ-ერთ ქუჩაზე ავტომობილით მამამისთან ერთად მიმავალი ხავიერ ძანეტი მძარცველებმა გააჩერეს, ავტომობილიც წაართვეს, ფული და პირადი ნივთებიც და არც გინება დააუკლიათ მისთვის. ხავიერმა ბევრი კი იძახა, - ძანეტი ვარ ბიჭებო ასე ნუ მექცევითო, მაგრამ ყაჩალს აუხსნი ამას? არგენტინის პოლიცია იძახის, გამალებით ვეძებთ ამის ჩამდენებსო. ჰო რა, იძახის და იძახის...

**კობა კობახიძე**



ფეხბურთი

# ვან გაალის პირველი ტიტული – „მანჩესტერი“ ჩემპიონის თასის მფლობელია

**მაიამის „სან ლაიფ სთედიუმზე“ დასრულებული საერთაშორისო ტურნირის — ჩემპიონის თასის გამარჯვებული „მანჩესტერ იუნაიტედი“ გახდა. „წითელმა ეშმაკებმა“ ფინალში მათთვის კარგად ნაცნობი „ლივერპული“3:1 დაამარცხეს.**

მოგეხსენებათ, მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ლუის ვან გაალმა „მანჩესტერი“ ჩაიბარა და პირველი ტიტულიც მოიპოვა.

ალნიშნული შეხვედრა „მერსისაიდელთა“ უპირატესობით დაიწყო და მალევე პენალტიც გამოიმუშავეს. მე-14 წუთზე თერთმეტმეტრიანის რეალიზება სტივენ ჯერარდმა შეძლო და ლივერპულელების გუნდს პირველი ტაიმი მოაგებინა.



მეორე ნახევარში მოვლენები განსხვავებული სცენარით განვითარდა. ვან გაალის შეგირდებმა ორწუთიან მონაკვეთში წინ გასვლა შეძლეს. 55-ე წუთზე უეინ რუნიმ გაათანაბრა, ხოლო 57-ზე ხუან მატამ „წითელი ეშმაკები“ დააწინაურა. 88-ე წუთზე მანჩესტერელთა ახალგაზრდა ნახევარმცველმა ლინგარდმა შეხვედრის საბოლოო ანგარიში 3:1 დააფიქსირა.

აქვე შეგახსენებთ, რომ ინგლისის პრემიერლიგა სტარტს 16 აგვისტოს აიღებს. პირველივე სათამაშო დღეს გახსნის მატჩში „მანჩესტერი“ „ოლდ ტრაფორდზე“ „სუონსის“ დაუპირისპირდება, ხოლო 17 აგვისტოს „ლივერპული“ „ენფილდზე“ „სანდერლენდის“ წინააღმდეგ მოსინჯავს ძალას.

რაც შეეხება ჩემპიონის თასის ფინალისტების პრემიერლიგაში ბრძოლას, „მანჩესტერი“ და „ლივერპული“ ერთმანეთს მე-16 ტურში „ოლდ ტრაფორდზე“ დაუპირისპირდებიან.

**გიორგი შოთაძე**

◉ საკანონმდებლო ცვლილება

# კიდევ ოთხი თვე მოგვისმენენ!

## ფარული მიყურადების წინააღმდეგ აგორებული კამპანია თანდათან ცხრება



**რამდენიმე დღის წინათ ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ინიციატივით 18-კაციანი სამუშაო ჯგუფი შეიქმნა. შეგახსენებთ, რომ ახალი ხელისუფლების პირობეში ეს თემა საკმარისზე მეტადაც კი აქტუალური გახდა. მეტიც, არასამთავრობო ორგანიზაციებმა კამპანია „ეს შენ გეხება“ ჩამოაყალიბეს, რომელმაც თავის თავზე აიღო ახალი კანონპროექტის შემუშავების ვალდებულება.**

ფარული მოსმენების მარეგულირებელ კანონმდებლობაში ცვლილებების მიღების პროცესი რამდენჯერმე შეფერხდა. მაისში პლენარულ სხდომაზე, კანონპროექტი პირველი მოსმენით განიხილეს, მაგრამ კვორუმის არარსებობის გამო პარლამენტმა მისი მიღება ვერ მოახერხა. ამასთანავე შინაგან საქმეთა სამინისტრო იმთავითვე არ დაეთანხმა ინიციატივას, რომლის მიხედვითაც სატელეკომუნიკაციო მონაცემებზე სამართალდამცავებს პირდაპირი წვდომა ეზღუდებოდათ თაობაზე. ამიტომ პარლამენტმაც ღიად დატოვა ეს საკითხი, რამაც არასამთავრობოთა გულისწყრომა გამოიწვია. ისინი მაშინ აცხადებდნენ, რომ სახელმწიფოს არ ჰქონდა პოლიტიკური ნება ფარული მოსმენების მოსაწესრიგებლად.

სამწუხაროდ, წინა ხელისუფლების დროს, როცა ყველამ კარგად ვიცოდით, რომ სამართალდამცავები ყველას და ყველგან გვისმენდნენ, არასამთავრობოთა რეაქცია არ იყო ასეთი მკვეთრი და პრინციპული, რაიმე ხმაურიან კამპანიაზე ლაპარაკი ხომ წარმოუდგენელი რამე იყო. სამაგიეროდ, ორიოდე თვის წინათ კამპანია „ეს შენ გეხებას“ გავრცელებულ განცხადებაში ამოიკითხავდით სერიოზულ ბრალდებებს ახალი ხელისუფლების მისამართით: **„საქართველოს პარლამენტს არ ეყო პოლიტიკური გამბედაობა, ამ მანკიერი პრაქტიკის დასრულებისთვის დაეჭირა მხარი და ეს მხარდაჭერა საკანონმდებლო დონეზე გაემყარებინა!“**

ამის საწინააღმდეგოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დამთავრებისთანავე, პარლამენტმა გასულ კვირას ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებით კანონმდებლობაში ცვლილებები შეიტანა. ამიერიდან მნიშვნელოვნად უმჯობესდება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციური გარანტიები, მოქმედი კანონმდებლობა დაუახლოვდება ევროპის ქვეყნების პრაქტიკას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის სტანდარტებს.

ახალი რეგულაციების თანახმად:

**თვალთვალი და მიყურადება განხორციელდება მხოლოდ დანაშაულის ჩამდენი პირების ან იმ პირთა მიმართ, რომლებიც დანაშაულის ჩამდენი პირისგან იღებენ ან გადასცემენ მას ინფორმაციას დანაშაულის შესახებ; ასევე იმ პირთა მიმართაც, რომლებმაც ჩაიდინეს განზრახ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ასევე, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ, რომელთა ქმედება მიმართულია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ ან წარმოადგენს ეკონომიკური ტიპის დანაშაულს.** თუმცა, ამის მიუხედავად, კვლავ დაურეგულირებელი რჩება სამართალდამცავი ორგანოების მიერ კავშირგაბმულობის ოპერატორთა მონაცემებსა და მოქალაქეთა შორის კომუნიკაციაზე პირდაპირი და შეუზღუდავი წვდომის საკითხი. როგორც იცით, წლების განმავლობაში სამართალდამცავებს ჰქონდათ პირდაპირი წვდომა მობილური ოპერატორების სერვისებზე და აბონენტების პერსონალურ მონაცემებზე. შსს გააჩნდა პირად ცხოვრებაში თვითნებური და შეუზღუდავი ჩარევისა და პირადი თუ ოჯახური ცხოვრების ამსხაველი უზარმაზარი არქივების შექმნის შესაძლებლობა. მათ შეეძლოთ გამოძიების ეტაპზე თვითნებური და უკონტროლო მოქმედება, მართლმსაჯულების განხორციელების დროს უპირატესობის უსამართლოდ მოპოვება და ა. შ. სამწუხაროდ, ეს ნიუანსები კვლავ რეგულირების გარეშე დარჩა. თუმცა, გარდამავალ დებულებაში ჩაიწერა, რომ აღნიშნულ თემაზე 1 ნოემბრამდე უნდა იქნას გადაწყვეტილება მიღებული. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი.

**კამპანია „ეს შენ გეხებაში“ გაერთიანებული არასამთავრობო ორგანიზაციები მკაცრად მოითხოვენ, რომ კომუნიკაციების ამსახველი ინფორმაციის საკითხი მობილური ოპერატორების კონტროლქვეშ გადავიდეს. კანონროექტის თავდაპირველი ვერსია სწორედ ამას ითვალისწინებდა, რასაც რამდენიმე თვის წინათ პარლამენტში წინააღმდეგობა შეხვდა, ხოლო შსს-მ მკაცრად დაიწუნა! ამჯერად საკუთარი მოქალაქეების მიერ კანონმდებლები შედარებით ლმობიერები აღმოჩნდნენ.**

კანონში შეტანილი ცვლილებებით:

● შეიზღუდება ფარული მიყურადებისა და თვალთვალის ხანგრძლივობის ლიმიტი და ის ვერ გაიცემა 6 თვეზე მეტი ვადით (1+2+3);

● ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების, მის შედეგად მოპოვებული მასალის შინაარსისა და ამ მასალის განადგურების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს პირს, რომლის მიმართაც განხორციელდა ფარული საგამოძიებო მოქმედება;

● ფარული მიყურადებისა და თვალთვალის კანონთან შესაბამისობაში განხორციელების ზედამხედველობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი განახორციელებს. მისი უფლებამოსილება ასევე გავრცელდება მონაცემთა სახელმწიფო უსაფრთხოების, თავდაცვის, სადაზღვევო და კონტრდაზვერვითი საქმიანობის იმ ნაწილზე, რომელიც არ წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას.

**ასევე კანონში ჩაიწერა სხვა მნიშვნელოვანი ასპექტებიც, რომელმაც ქვეყანაში უნდა შექმნას იმის განცდა და განწყობა, რომ უსაფუძვლოდ აღარ გვისმენენ, რომ ხელშეუხებელია ჩვენი პირადი და ოჯახური ცხოვრება; და ღრმად გვწამს, ფარულ ჩანაწერებს ღირსების შესალახავად და პატივასაყრელად ცხვირწინ აღარ აგვიფრიალებენ!**

**ნაციონალების შავი ეპოქა, ერთხელ და სამუდამოდ წარსულს უნდა ჩაბარდეს!!!**

**თეა მოსია**

---

ლია, მაია, გურამ გვეტაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი ნათესავის, ღირსეული პიროვნების

**პაატა გვეტაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.

---

მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს რესპირაციული მედიცინის დეპარტამენტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, საქართველოს რესპირაციული ასოციაციის პრეზიდენტი

**პაატა გვეტაძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

---

◉ ინფორმაცია

## ნოტარიუსთა პალატა - ტერორისტთა და მათ ხელშემწყობთა წინააღმდეგ

**საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ელექტრონულ ბაზებს კიდევ ერთი — ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა ელექტრონული რეესტრი შეემატა.**

— მსოფლიო მასშტაბით ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა მონაცემებს გაეროს უშიშროების საბჭო გადმოსცემს საქართველოს სამთავრობო კომისიას. შემდეგ, ამ დოკუმენტების საფუძველზე, საქართველოს საქალაქო სასამართლო ყადაღას ადებს ტერორისტთა ქონებას. ნოტარიუსთა პალატამ აღნიშნული მონაცემები მოიპოვა და ელექტრონულ ბაზაში დაარეგისტრირა.

ამ მონაცემებს მსოფლიოს ბევრი ქვეყანა იყენებს საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვის მიზნით. საქართველოში ჩამოსული უცხოელები ადგილობრივ ნოტარიუსებს ხშირად მიმართავენ სანოტარო მოქმედების შესრულებისთვის. შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ნოტარიუსებსაც უკვე აქვთ საშუალება, ტერორისტების ერთიანი ელექტრონული ბაზით ისარგებლონ და კლიენტის მონაცემები გადაამოწმონ. საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ერთ-ერთ პრიორიტეტს სწორედ მომხმარებლის უსაფრთხოების დაცვა წარმოადგენს.

---

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

## საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველომ სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდისგან (IFAD) მიიღო სესხი (№802-GE) სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროექტის (ASP) დასაფინანსებლად და განზრახული აქვს, სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული ხარჯების **გორის მუნიციპალიტეტში არსებული ძევერა შერთულის სარწყავი სისტემის და გარდიგარდმო მაგისტრალური არხის I, სხვა რიგის გამანაწილებლების შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია სათავე ნაგებობის მოწყობით,** კონტრაქტით **№A/W/NCB-2014/05**

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო იწვევს საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების მქონე იურიდიულ პირებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები ზემოთ აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად. კონტრაქტების ხანგრძლივობაა **16 თვე.**

2. ქართულ ენაზე საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტის შეძენა დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ **2014 წლის 7 აგვისტოდან** (ყოველდღე 12-დან 16 საათამდე) ქვემოთ მითითებულ მისამართზე წარდგენილი წერილობითი მოთხოვნისა და ქვემოთ მითითებულ რეკვიზიტებზე 50 ლარის ოდენობის დაუბრუნებადი თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის საფუძველზე.

**გადახდა უნდა მოხდეს თანხის გადარიცხვით შემდეგ რეკვიზიტებზე:**

**ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი: TRESGE22;**

**ანგარიშის ნომერი / სახაზინო კოდი: 302004400;**

**გადახდის დანიშნულებაში აუცილებელია მიუთითოთ სადეპოზიტო ქვე-კოდი - 4411.**

3. საკონკურსო წინადადება ძალაში უნდა იყოს წინადადებების გახსნის დღიდან 90 დღის განმავლობაში და მას უნდა ახლდეს საკონკურსო წინადადების საბანკო გარანტია (გამოშვებული ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ) საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 1%-ის ოდენობით. გარანტია უნდა იყოს გაცემული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელზე სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ვადით და ფორმის მიხედვით. საკონკურსო წინადადება უნდა ჩაბარდეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2014 წლის 29 აგვისტოს 12:00 საათისა,** როდესაც ისინი გაიხსნება დასწრების სურვილის მქონე კონკურსანტების თანდასწრებით.

**4. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება დაკონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი.**

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი

თბილისი, მარშალ გელოვანის №6, მე-3 სართული, ოთახი №309.

ელ.ფოსტა: l.durmishidze@moa.gov.ge

ტელ. (995 (32) 237-66-48.

---

◉ ალიანჩალიანი

## კიწმარიშვილის მკვლელობის ადგილს ხელმეორედ შეისწავლიან

**ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების ადგილზე დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფი დამატებითი ექსპერტიზის ჩატარებას გეგმავს.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ ეროსი კიწმარიშვილის ძმამ ზურაბ კიწმარიშვილმა განუცხადა, დამატებით ექსპერტიზას ოჯახის ინიციატივით, დამოუკიდებელ ექსპერტებთან ერთად, იურისტებიც ჩაატარებენ.**

**რაც შეეხება საგამოძიებო მოქმედების გამეორებით ჩატარების მოტივს, ეროსი კიწმარიშვილის ოჯახის ადვოკატის გაგი მოსიაშვილის განცხადებით, დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფი გაფართოებულად შემთხვევის ადგილის დათვალიერებას იმ მიზნით გეგმავს, რომ დამატებითი ინფორმაცია მოიძიოს.**

**ამ დროისთვის ცნობილია, რომ ექსპერტთა ჯგუფში ექსპერტები მაია ნიკოლეიშვილი და ზაზა ალთუნაშვილიც შევლენ.**

## უკანონოდ ჩამორთმეული ავტომანქანები მფლობელებს დაუბრუნდათ

**შსს-მ 2006-2011 წლებში სისხლის სამართლის საქმეებზე ნივთმტკიცებად ამოღებული ხუთი ავტომანქანა მესაკუთრეებს დაუბრუნა.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, ავტომფლობელები საქართველოში იმ პერიოდისთვის იმპორტირებული და საქართველოს შსს-ში რეგისტრირებული ავტომანქანების შეძენის შედეგად დაზარალდნენ. ავტომანქანების შეძენის შემდეგ დადგინდა, რომ მათი საიდენტიფიკაციო მონაცემები იყო შეცვლილი, რაც გახდა გამოძიების დაწყებისა და აღნიშნული ავტომანქანების ჩამორთმევის საფუძველი.**

**შსს-ს ცნობით, 2014 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის ერთობლივი ღონისძიებების შედეგად დადასტურდა, რომ ავტომანქანების შეძენა მოხდა კეთილსინდისიერად, ასევე გამოირიცხა დაზარალებული პირების რაიმე ფორმით მონაწილეობა მითითებულ დანაშაულში. აქედან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და 5 ერთეული სატრანსპორტო საშუალება კეთილსინდისიერ შემძენებს დაუბრუნა .**



## ჩვენი კარაბადინი

**თქვენი ზედმეტი წონის გამო შეგიძლიათ, „მადლობა გადაუხადოთ“ თქვენს... ბებიას. ასეთ დასკვნამდე მივიდა მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფი, რომელიც ოქსფორდში, კემბრიჯსა და შვეიცარიაში მუშაობდა.**

**მათი ერთობლივი გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ სიმსუქნისა და შაქრის დიაბეტის გაზრდილი რისკი შეიძლება ბებიასაგან გადაეცეს შვილიშვილებს ვაჟიშვილის მეშვეობით.**



### მეცნიერული ბოდვა?

**როგორ შეიძლება ასეთი რამ? ყოველთვის ხომ მიაჩნდათ: დიაბეტისა და სიმსუქნის გაზრდილი რისკი დამოკიდებული არის დედაზე, რომელიც ფეხმძიმობის დროს არასწორად იკვებებოდაო. მედიკოსებისთვის კარგადაა ცნობილი, რომ ასეთ შედეგებთან მივყავართ მომავალი დედის დიეტაში ტკბილისა და ცხიმის სიჭარბეს: ასეთი კვება აპროგრამებს ნაყოფს საშოში ამ დაავადებათა განვითარებისთვის.**

მაგრამ რა დამოკიდებულება აქვთ ფეხმძიმობის მიმდინარეობასთან მომავალი ბავშვის მამას და, მით უმეტეს, ბებიას მამის მხრიდან? შეიძლება, რასაკვირველია, ვივარაუდოთ, რომ ქმარი და დედამთილი კეთილი გრძნობებით უხვად აწვდიდნენ ორრიგი დაავადებების რისკს. ესე იგი, კლასიკური გაგებით, მემკვიდრეობითობა მას კარგი აქვს. მაგრამ აი ეპიგენომში არის ცვლილებები, რომლებიც ამ გენებს ამუხრუჭებენ. და შედეგად მათი სასარგებლო პოტენციალი არ ვლინდება, ავადმყოფობა კი ვითარდება. ხდება ისეც, რომ მუხრუჭდება ცუდი გენებიც, და მაშინ ეს ორგანიზმისთვის სასარგებლოა.

ვისწავლოთ ამ პროცესების მართვა – ეპიგენეტიკის მთავარი მიზანია. და რაღაც-რაღაცები უკვე შეგვიძლია. მაგალითად, შევქმენით ხორბალი, რომლის მოსავლიანობაც ჩვეულებრივზე ორჯერ მეტია. მაგრამ ეპიგენეტიკური ცვლილებები, გენების მუტაციისაგან განსხვავებით, მემკვიდრეობით გადაეცემა მხოლოდ 3, ზოგჯერ 4 თაობის განმავლობაში, შემდეგ ბუნება თავისას აკეთებს.

ცვლილებებს ეპიგენომში ძალიან ბევრი რამ უწყობს ხელს. მოწევა, ალკოჰოლი, კვების თავისებურებანი, ზოგიერთი წამალი, ჩვენი შინაგანი ჰორმონები და ჰორმონალური აქტივობის ნივთიერებანი, რომლებსაც ჩვენ ვღებულობთ გარედან საკვებთან და წყალთან ერთად, – ისინი ეკოლოგიური დამბინძურებლები არიან. სტრესი და სხვა ემოციური მდგომარეობებიც ასევე ძლიერ გავლენას ახდენს. თავდაპირველად ისინი იწვევენ ჰორმონალურ ძვრებს, რომლებსაც შემდეგ ცვლიან ეპიგენით“.

# ბედის შიფრი

## მეცნიერებმა მონახეს სიმსუქნის „დამნაშავე“



სულს ტკბილეულსა და ცხიმიან საჭმელს. მაგრამ მეცნიერებმა მოვლენათა ასეთი განვითარება გამორიცხეს. ისინი თავიანთ ექსპერიმენტს ატარებდნენ თაგვებზე – მაკე დედიკოები იკვებებოდნენ ისე, რომ ცხოველები ჯანმრთელები გაჩენილიყვნენ. მაგრამ არა – „ცუდი ბებიების“ პატარები იბადებოდნენ არაჯანსაღები.

### მუხრუჭები გენებისათვის

**ასეთი გადაცემა სიმსუქნისა და დიაბეტისადმი წინასწარ განწყობილებისთვის შესაძლებელია და ეს დაკავშირებულია არა გენეტიკასთან, არამედ ეპიგენეტიკასთან, – ამბობს რუსეთის მეცნიერებთა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ბორის ვანიუშინი. – ეს ახალი მეცნიერება სწავლობს მემკვიდრეობის სრულიად სხვაგვარ ტიპს, როელიც შედარებით ახლა აღმოაჩინეს. ტრადიციულად მიჩნეული იყო, რომ მემკვიდრეობა შთამომავლებს გადაეცემათ მხოლოდ გენებით. მოხდა გენის მუტაცია, და ასეთი ახალი „ჩანაწერი“ გადაეცემა თაობიდან თაობას პრაქტიკულად მუდმივად.**

გენომის ასეთი ცვლილებებთან ეპიგენეტიკას არანაირი კავშირი არა აქვს. ის სწავლობს იმას, რომელიც თითქოსდა გენის ქვეშაა და აწესრიგებს მათს აქტივობას. მაგალითად, ადამიანს აქვს რაღაც კარგი გენები, რომლებიც ამცირებენ მთელი

### არ ვიშიმშილოთ!

**ეს ცვლილებები ადამიანის მთელი ცხოვრების განმავლობაში ხდება, მაგრამ ისინი განსაკუთრებით საშიშია გარკვეულ პერიოდებში. მაგალითად, მომავალი ბავშვებისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ფეხმძიმობა, არამედ ისიც, თუ როგორ იკვებებოდა და იქცეოდა მომავალი დედა ჩასახვამდე ორი-სამი კვირა.** ამ დროს ყველა მავნე ზემოქმედება უნდა გამოირიცხოს. მეტად მნიშვნელოვანია ბავშვის ცხოვრების მთელი პირველი წელი და განსაკუთრებით პირველი 3 თვე. 6-9 წლის ასაკი, გარდამავალი ასაკი – ასევე უკიდურესად მნიშვნელოვანი პერიოდებია, როდესაც ეპიგენეტიკურმა ცვლილებებმა შეიძლება ნეგატიური გავლენა მოახდინონ ბავშვის მომავალ ბედზე. მთელი ამ დროის განმავლობაში არ შეიძლება არა მხოლოდ მოაშიო იგი, არამედ არც ზედმეტი არ უნდა აჭამო. ეს უკანასკნელი მეტად მავნეა მისთვისაც და მისი მემკვიდრეებისთვისაც. ამ პერიოდებზე ხომ მოდის ასაკობრივი ძვრები სქესობრივ სფეროში, მაშასადამე, ცვლილებები შეიძლება შეეხოს სასქესო უჯრედებს და გადაეცეს მომდევნო თაობებს.

მაგრამ დავუბრუნდებით სენსაციურ გამოკვლევას, რითაც დავიწყეთ. ეპიგენომზე გავლენის მოსახდენად მეცნიერებმა ექსპერიმენტში მოახდინეს შიმშილის მოდელირება: დედალ თაგვებს – მომავალ ბებიებს – მაკეობის ბოლოს აძლევდნენ მათთვის აუცილებელი რაციონის მხოლოდ ნახევარს. ამ დროს მომავალ „მამებს“ უყალიბდებოდათ სასქესო სისტემა, და მათს სპერმატოზოიდებში გროვდებოდა ეპიგენეტიკური ცვლილებები, რომლებიც ხელს უწყობდნენ სიმსუქნისა და დიაბეტის განვითარებას, რასაც ისინი შემდეგ უყოფდნენ უკვე თავიანთ შვილებს.

ესე იგი თუ ბებია ორსულობის დროს შიმშილობდა, შვილიშვილები შეიძლება... დაავადდნენ სიმსუქნით. აი ასეთია სამწუხარო, მაგრამ მეცნიერულად დადასტურებული მემკვიდრეობითი ისტორია!

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

## ცინცხალი ანეკდოტები

**ქმარი გალეწილი მთვრალი მობანცალდა სახლში და თან ვიღაც ქალი მოათრია.**

**– „სუ, ხმა არ ამოიღო, შენ ჩემი და ხარ!“ – ჩურჩულით უთხრა გაოგნებულ ცოლს.**

* * *

**– გუშინ ლატარიაში ასი ათასი მოვიგე!**

**– მერე შენმა ცოლმა რაო?**

**– რაო და, სიხარულისგან დამუნჯდა.**

**– ღმერთო ჩემო, ამდენი ბედნიერება ერთად!**



* * *

**ერთხელ სიცილისგან ჩავიფსი. უფრო სწორედ უბრალოდ ჩავიფსი. მაგრამ უხერხულობისგან თავის დაღწევის მიზნით გადავწყვიტე, ისე მოვქცეულიყავი, თითქოს სიცილით ჩავიფსი. თუმცა, ამის გაკეთება ძალიან ძნელი იყო – ჩვენ ხომ დაკრძალვაზე ვიყავით...**

* * *

**– ნახე, რაბინოვიჩი დახმარებას ღებულობს და უკვე იყიდა ბინაც, მანქანაც და ვილაც. რაო, ასეთი მაგარი დახმარება აქვს?**

**– არა, რაბინოვიჩია ასეთი მაგარი...**

* * *

**– შენ „ბუ“ ხარ თუ „ტოროლა“? – ეკითხებიან ქერათმიან ლამაზმანს.**

**– არც კი ვიცი, რა ვთქვა... ქმარი „ჩემო მერცხალოო“ მეუბნება.**



## საქართველო ტრადიციული მედიცინის სამშობლოა

### ისარგებლეთ საუკუნეების მანძილზე გამოცდილი ბუნებრივი წამლებით

### „ფერდის“ და „სალხინოს“ კომპლექსური გამოყენება

კლინიკური კვლევების საფუძველზე რეკომენდებულია **„ფერდის“ და „სალხინოს“** ერთობლივი გამოყენება ქიმიოთერაპიის გვერდითი მოვლენების აღმოსაფხვრელად. გააჩნიათ ძლიერი ანტიოქსიდანტური და იმუნომოდულატორული თვისებები. გამოიყენება ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმების დროს, ასევე ენდომეტრიოზის, ჰეპატიტის, ნეფრიტის და კუჭ-ნაწლავის მკურნალობაში.





პირველი 6-7 დღე ინიშნება **„ფერდის“ და „სალხინოს“** კაფსულა 3-ჯერ დღეში ერთდროულად, თითოეული კაფსულის მიღებისას აუცილებელია 200 მლ-მდე წლის მიყოლება. მომდევნო პერიოდში – 2 კაფსულა „ფერდი“ და 1 კაფსულა „სალხინო“ 3-ჯერ დღეში ერთდროულად, დამატებით 2 კაფსულა „ფერდი“ ძილის წინ, მიღების დროს ყველა შემთხვევაში აუცილებელია წყლის მიყოლება. პაციენტი შვებას გრძნობს 10-15 დღის შემდეგ, მკურნალობა გრძელდება 5-6 თვე ან საბოლოო გამოჯანმრთელებამდე.

**„ფერდი“ და „სალხინო“** იკითხეთ აფთიაქებში.

- გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.
- გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..


## კადრი




ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ქობულია
299-62-77;
599 36 00 35

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი 599 568186
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24